საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 13 აგვისტო, 2015 წელი.

№151 (7796)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყველა უკარისობაზე უსაბაგლესია.

ტარიფები არიფებისთვის!..

4

ტარიფის გაზრდა ობიექტური აუცილებლობით იყო და არის გამოწვეული, მაგრამ რამდენით უნდა გაზრდილიყო, ეს სულ სხვა საქმეა. ჩემი აზრით, „სემეკს“ უნდა გაეთვალისწინებინა ის ვალდებულებები, რომლებიც „ენერგო პრო ჯორჯიას“ უნდა შეესრულებინა და არ შეასრულა: თუნდაც ახალი სიმძლავრეების შექმნა, ან გამრიცხველიანება... მიუხედავად ამისა, ყველაფერი ტარიფში იყო ჩადებული და მისი საფასური კომპანიამ მოსახლეობისგან აიღო.

რა ვალდებულება უნდა შეესრულებინა „ენერგო პროჯორჯიას“ და არ შეასრულა?!

როდის ვიდღესასწაულოთ დავითობა?

3

სასამართლოს ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის არა აქვს!

2

რა „ძვირფას“ დროში ვცხოვრობთ...

რამდენად დიდ დანაშაულს უნდა მალავდე, რომ საკუთარი თავის დისკრედიტაცია გიღირდეს?!

5

რუსთა მესიის მახვილი და მასონთა ღვთის რისხვა...

6



ლეო მესი: მეგონა, ჩვენს სტადიონზე ვთამაშობდით – საოცარი გულშემატკივრობა იყო და ამისთვის ქომაგებს მხოლოდ მადლობა – დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს!

კატალონიამ სუპერთასი მეხუთედ თბილისში „მოიბარსელონა“

10

სასამართლოს ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის არა აქვს!

იუსტიციის უმაღლესი საბჭო „რუსთავი-2“-ის სასამართლო დავასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

„თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო დავა, რომელშიც ერთ-ერთი მხარეა ტელეკომპანია „რუსთავი-2“. რამდენიმე დღის წინ დაწყებულმა სამართალწარმოების პროცესმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

სახელისუფლებო შტოების ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადება თუ კომენტარი, რომელიმე მხარის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ, სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესს საფრთხის ქვეშ აყენებს, ასევე, ლახავს სასამართლოს ავტორიტეტსა და პრესტიჟს, მოსამართლის შეუვალობასა და მიუკერძოებლობას, სამართლის უზენაესობას.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მოსამართლის საქმიანობაზე ზეგავლენის ან ასეთის მცდელობის დაუშვებლობიდან გამომდინარე, მოდავე მხარეებს, მათთან დაკავშირებულ დაინტერესებულ პირებს, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლებს მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის შემლახავი განცხადებებისაგან.

გამოხატვის თავისუფლების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლო ხელისუფლებისადმი პატივისცემა უშუალო კავშირშია მოდავე მხარეთა მიერ კანონმდებლობით მინიჭებული პროცესუალური შესაძლებლობების რეალიზაციასთან, რომელიც გულისხმობს მოსამართლის ქმედებისა, თუ სასამართლო აქტების სამართლებრივი გზით გასაჩივრებას დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად.

„რუსთავი-2“-ის მონაწილეობით მიმდინარე სასარჩელო წარმოება არის ღია და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყოფილია საქმის განხილვის საქვეყნოობის, კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები“, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ სოფელი

თუ გვნდა, რომ ბარაქიანად მოვირთვლიანოთ!

სახელმწიფომ რთვლისთვის მზადება დაიწყო. ბიუჯეტიდან სუბსიდიაც გამოიყოფა. ჯერ უცნობია, რა ფასად ჩაიბარებენ ქარხნები მოსავალს. არადა, გლეხებს ახლა ყველაზე მეტად სწორედ ეს აინტერესებთ. ექსპერტების ნაწილი კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს საყვედურობს და ნამდვილად შორს მიდის, რომ „არ არსებობს დარგის განვითარების სტრატეგია“.

ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყურძნის სუბსიდირება წელსაც მოხდება. ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ გააჟღერა, თითო კილოგრამ „რქაწითელსა“ და „კახურ მწვანეში“ სახელმწიფო დამატებით 35 თეთრს, ხოლო 1 კგ „საფერავში“ 15 თეთრს გადაიხდის.ცნობილი გახდა მთავრობის გადაწყვეტილება, რომ წელს სუბსიდირება არა ღვინის კომპანიებს, არამედ პირდაპირ მევენახეებს შეეხება. ჩაბარებულ ყურძენზე გლეხი სუბსიდირებულ თანხას ორი კვირის ვადაში ბანკში მიიღებს.

მინისტრმა არსებული სიტუაციაც მიმოიხილა და აღნიშნა, რომ ექსპორტი გარკვეული მიზეზების გამო შემცირებულია და რეგიონში ზოგადად არასტაბილური ვითარებაა, რაც ბაზრებზე ახდენს გავლენას.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ, მოთხოვნის შემცირების გამო, ჩაუბარებელი ყურძენი დარჩა, მაშინ შესაძლოა ჩაერიოს სახელმწიფო და ჩაიბაროს.

ღვინის კომპანიები ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებენ, რა ფასად ჩაიბარებენ გლეხებისგან ყურძენს და,შესაბამისად, კომენტარზე უარს ამბობენ. იმას, რომ ყურძნის სუბსიდირება წელსაც მოხდება, კახელი გლეხების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს, თუმცა ზოგი მათგანი გვეუბნება, რომ კონკრეტული დარგების მუდმივი სუბსიდირება მათ არასწორად მიაჩნიათ, რადგან ამით გლეხი და მევენახეობის დარგი რეალურად წინ ვერ მიდის:

„სოფლის მეურნეების სამინისტროს დარგის განვითარების სტრატეგია არ გააჩნიაო“, — გვეუბნება პაატა კოღუაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და პროფესორი. კოღუაშვილის თქმით, ყურძნის სუბსიდირებიდან გლეხი ვერანაირ მოგებას ვერ ნახულობს და ოჯახში დამატებითი შემოსავალი ვერ შეაქვს.

შეგახსენებთ, რომ შარშან ყურძნის ღირებულება ერთი ლარიდან იწყებოდა და 3 ლარსაც აღწევდა. ღვინის სუბსიდირების პროგრამა საქართველოში აქტიურად 2007 წლიდან დაიწყო. ღვინის ეროვნული სააგენტო წელს რთვლის საკოორდინაციოდ ორ შტაბს ქმნის,რომელიც თელავსა და გურჯაანში განთავსდება. შტაბები მუშაობას აგვისტოს ბოლოდან დაიწყებს. იმუშავებს ცხელი ხაზიც.

გიორგი ალადაშვილი

ლომისის მონასტერში რუსი სამხედროები ლოცულობენ

დუშეთის რაიონის სოფელ მლეთაში ლომისის მამათა მონასტერში რუსი სამხედროები იმყოფებოდნენ. როგორც იღუმენმა მათე ჯულაყიძემ განაცხადა, რუსი ჯარისკაცები ხშირად მოდიან ლომისის მამათა მონასტერში მოსალოცად, თუმცა რაიმე სახის დაპირისპირება არასოდეს მომხდარა.

„ჩვენთან ხშირად დადიან, მოილოცავენ და ეზიარებიან ხოლმე. ჩვენთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ჯარისკაცები დღესაც იყვნენ მოსულები. მათ ძაღლები ჰყავთ. როდესაც ისინი შემოვიპატიჟეთ, ძაღლები გარეთ დარჩნენ და ჩვენს ძაღლებთან იჩხუბეს. ჯარისკაცი ავტომატის კონდახით აშველებდა ძაღლებს. სწორედ ამ დროს აქ ბავშვი იყო ამოსული, რომელმაც ეს სიტუაცია გადაიღო და ინტერნეტით გაავრცელა და მიუწერია, რომ ბერებს აწიოკებენო. მე ველაპარაკე ამ ბავშვს და აიღო ეს სურათი. რაც შეეხება დაპირისპირებას, ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

სასაზღვრო ზოლია და ჯარისკაცები ქსნის ხეობიდან ხშირად ჩამოივლიან ხოლმე. თუ გარეთ ვართ, შემოვლენ და მოილოცავენ მონასტერში. თუ ჩვენ არ მოვიპატიჟეთ, ისე არ გვაწუხებენ“, — განაცხადა იღუმენმა მათე ჯულაყიძემ.

ინფორმაცია რუსი ჯარისკაცების ლომისის მამათა მონასტერში მისვლისა და ბერებთან დაპირისპირების შესახებ ინტერნეტში გავრცელდა, **თუმცაღა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს!..**

◎ ახალი (ინ)ფორმაცია

სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მონოპოლია გვექნება?

ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის ორი უმსხვილესი პროვაიდერის — „კაუკასუს ონლაინის“ და „სილქნეტის“ — შერწყმის თაობაზე თანხმობის გასაცემად კომუნიკაციების ეროვნული კომისია საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს. პროცედურა გულისხმობს ბაზრის და კომპანიების არგუმენტაციის შესწავლას, რის საფუძველზეც გაიცემა ნებართვა კომპანიების წილის შერწყმაზე. წარმოიშობა თუ არა კომუნიკაციების ბაზარზე მონოპოლია და რას მიიღებს მომხმარებელი მსხვილი პროვაიდერების შესაძლო შერწყმით?

„კაუკასუს ონლაინმა“ და „სილქნეტმა“ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას თავიანთი წილების სრული შერწყმის თაობაზე განაცხადით 27 ივლისს მიმართეს, კომისიამ კი საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო კვლევისა და ანალიზის ჩასატარებლად. როგორც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ხატია ყურაშვილი ამბობს, ეს პროცედურა აუცილებელია იმისთვის, რომ გაირკვეს, რა ცვლილებები შეიძლება ამ ორი კომპანიის შერწყმას მოჰყვეს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრისთვის:

„როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის გათვალისწინებული, ეს კვლევა სამი თვის განმავლობაში გაგრძელდება და სწორედ ამ კვლევის დასრულების, საფუძვლიანი და არგუმენტირებული დასკვნის მიღების შემდეგ იმსჯელებს უკვე კომისია თანხმობის მიცემა-არმიცემის თაობაზე, ანუ რა შესაძლო ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს ამ ორი კომპანიის გაერთიანებას, შეიზღუდება თუ არა კონკურენცია და რა გავლენა შეიძლება იქონიოს როგორც ფიზიკურ პირებზე, ამ კომპანიის აბონენტებზე, ასევე იურიდიულ პირებზე, რომლებიც ასევე მათი აბონენტები არიან, ანუ პროცედურულად მასშტაბური კვლევა გაუძღვება წინ ამ გადაწყვეტილების მიღებას“.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა **ნინო ევგენიძემ** რადიო „თავისუფლების“ დილის ეთერში ორი უმსხვილესი პროვაიდერი კომპანიის შესაძლო შერწყმის შედეგებზე ისაუბრა:

„ამ ორი კომპანიის შერწყმით საქართველოში უკვე ოფიციალურად იქმნება მონოპოლისტი ინტერნეტპროვაიდერი, რომელიც დღეისთვის არა მხოლოდ ინტერნეტის, არამედ, მაგალითად, ისეთი სერვისის, როგორიც ტელევიზიების ე. წ. გადახვევის მომსახურებაა, ერთადერთი მიმწოდებელი იქნება. ბოლო პერიოდში ამ ორმა კომპანიამ პრაქტიკულად უნისონში განახორციელა ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურების ფასის მნიშვნელოვანი ზრდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანიების გაერთიანება მომხმარებლების ინტერესების დაცვას მოემსახუროს და ფასების შემცირებაზე დადებითად აისახოს“.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სატელეკომუნიკაციო მიმართულების სპეციალისტის უჩა სეთურის თქმით, პრობლემაა არა ის, რა სურთ კოპმანიებს, არამედ რას აკეთებს სახელმწიფო, ვინაიდან, მისი თქმით, საქართველოში ბოლო 8 წლის განმავლობაში პატარა ინტერნეტპროვაიდერების რაოდენობა კი იზრდება, მაგრამ მათი წილი ბაზარზე არ იზრდება. საქართველოში ასეთი სულ 150 მცირე პროვაიდერია, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ განვითარებას ბარიერები ექმნება, მათ შორის, საბითუმო ბაზართან დაკავშირებული პრობლემების სახით და სხვა. უჩა სეთურის თქმით, მთავარია, რას მიიღებს მომხმარებელი:

„ეს პირდაპირ ურტყამს ბაზარზე ინვესტიციების შემოსვლას, მცირე კომპანიების გაჩენას და უცხოელების შემოსვლას ჩვენს ბაზარზე. და, რაც ყველაზე მთავარია და ეს არის მეორე პრობლემა, ეს არის მომსახურების ხარისხი და მომსახურების ფასი. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია, მაგრამ არ არის ასე.

მონოპოლიების გაკონტროლება სახელმწიფოსთვისაც პრობლემაა, ამბობს უჩა სეთური, ვინიდან კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობენ მომსახურებათა პაკეტს, აქვთ დიდი ხარჯები და მათთვის იოლია ტარიფების დასაბუთებაც. მაღალი ფასისა და დაბალი მომსახურების შეთავაზებით კი მომხმარებელი ზარალდება.

ნინო ხარაძე,
რადიო „თავისუფლება“

ირაკლი ღარიბაშვილი:

დიდგოროობა ჩვენი საამაყო დღე და დღესასწაულია

გუშინ საქართველომ დიდგორობა იდღესასწაულა. პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრების და მთელი ხალხის გასაგონად თქვა:

„დიდგორობა ჩვენი საამაყო დღე და დღესასწაულია. ჩვენი ვალია, ყოველ წელს აქ მოვიდეს არა მხოლოდ მთავრობა, არამედ მოსახლეობა და ეს დღე ვიზეიმოთ. მინდა ორი ინიციატივის შესახებ განგიცხადოთ: აქ განსაახლებელია ინფრასტრუქტურა, მინდა ნოდარ ჯავახიშვილს დავავალო, გუბერნატორს უკვე დავავალე, რომ დავიწყოთ პროექტირება. გვინდა, გაისად განახლებული მოედანი იყოს და ყველაფერი ისე მოეწყოს, როგორც ჩვენ დიდ მეფეს ეკადრება. კიდევ ერთი ინიციატივა არის ის, რომ მინდა განათლების მინისტრს მივცე დავალება, რომ ყოველწლიურად ყველა სკოლის დირექტორს დაევალოს, ბავშვების აქ ჩამოყვანა და დიდგორის ველის ჩვენება. ეს მნიშვნელოვანია მომავალი თაობების აღზრდისთვის“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გთავაზობთ ნაწყვეტს დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის რომანიდან „დალი“, რომელიც შესულია ბატონ კარლო ინასარიძის მიერ 1984 წელს მიუნხენში გამოცემულ კრებულში „გრიგოლ რობაქიძე“. ვფიქრობთ, ძალზე საინტერესოა ამ ამონარიდის მინაწერში გამოთქმული წინადადება, რომ რადგან დავით მეოთხე ბაგრატიონის მეფედ კურთხევა ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში 1121 წლის 14 აგვისტოს მოხდა, ერის დიდი მამის — დავით აღმაშენებლის დღე სწორედ 14 აგვისტოს ვიდღესასწაულოთო.

როდის ვიდღესასწაულოთ დავითობა?

ალდგომის პირველ კვირას, რომელი „ახალკვირად“ არის საქართველოში ხმობილი, უშგულის ქალნი, ყველა დაქორწინებულნი, ქალთა რიტუალის ასასრულებლად გაემართენ. გადმოცემით, ბევრი რამ ამ რიტუალისა სვანეთში ვაჟებმა არ იციან. ძველთაძველი საიდუმლო „დიდი დედის“ თაყვანებისა ქალებს ფარულად შეუნახავთ.სალოცავად მიმავალ ქალებში თანბის დედაც ერია, მონადირის.

მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით. იყვნენ მდუმარენი, უთქმი სიტყვით აყვანილნი. ვიდოდნენ: ეზრდებოდნენ ერთი-მეიორეს შინაგან. პულსი ერთისა ნათელი ფეთქვით ეხმიანებოდა გულსა მეორესა. ოდნავ მიბნედილ თვალთ მიმავალთა სათნოების ციალი ეფინებოდა. სცილდებოდნენ ყოფას ყოველდღიურს.

მზის დახრისას მიადგნენ მიმავალნი ერთს მოზრდილ ბორცვს, ათასწლოვანი ხეებით გარსმოვლებულს. შეჩერდნენ. იდგა მყუდროება, მხოლოდ ხანდახან ფრინველის ფრთქიალი ფოთლებში აფრთხობდა ფრთადაშვებულ სიჩუმეს. ილაგდნენ ნამეხარი მუხის ქვეშ. სიტყვა არც ახლა წასცდენია რომელიმეს. ხის ფულუროს წინ გააჩაღეს ცეცხლი. ამოიღეს ჩანთიდგან პურის ცომი და ყველი, მოზილეს კვერებად და შეუდგნენ ცხობას საწირველისა. გამოაცხვეს ექვსი კვერი:სამი დიდი,სამი მომცრო.

შეჯგუფდენ, შემტკიცდენ, გაირინდენ.იდგენ ასე რამდენიმე წუთი განაბულნი, შემდგომ პირი ჰქმნეს მიმართ გაღმისა. გამოჩნდა სალოცავი ქალწულ მარიამისა: „ლამარია“. შეირხენ. ამართეს სამი დიდი კვერი და შესწირეს ღვთისმშობელს უსიტყვო ვედრებით; ლოცვით.

ორიოდე წუთი კიდევ. ახლა სამი ქალი გამოეყო მწირველთ. ესენი ყველაზე ხნიერნი იყვნენ. სამში ერთი თანბის დედა იყო. გაემართნენ იდუმალ ადგილისაკენ: „დიდი დედის“ მიმართ, რომელი უხნიერესია ღმრთის ძის დედაზე. წაიღეს თან სამი მომცრო კვერი, თაფლის სანთლები და ერთი დიდი აღვივებული ნაკვერჩხალი.

უსიტყვოთ, შენელებული სვლით მიეახლენ რჩეულნი იდუმალებით მოცულ ადგილს. აფუტუროვებული ხეების გვერდით ერთ ალაგს ხვრელი იყო უცნაური, ნიადაგის ჩაღრმავებით ქმნილი. ჯურღმული მოყვანილობით დიდს ზუმელს გავდა.აქა-იქ ბრტყელნი ქვანი: შესაძლოა ნატეხნი წარმართული ნიშისა, ძველისძველის. ზოგი ქვა ხავსმოკიდებული იყო, ზოგი დასირსვლული. სირსვილი წარწერასავით იხაზებოდა, დროთა ვითარებაში წარშლილისა. აქ დრო აღარ იყო: სუფევდა ზესთადროული.

დედებმა მოიყარეს მუხლი „ზუმელის“ წინაშე კდემით. დააგდეს მის გნედეზე ნაკვერჩხალი და ზე სანთლების ნატეხები დააყარეს. ერთმა ქალმა — ეს თანბის დედა იყო, სამსხვერპლო აქტის ამქმელად რჩეული — სული დაჰბერა უკვე მოფერფლილ ნაკვერჩხალს. თვითეული მათგანი ლოდინით იყო დაძაბული: აენთებოდა თუ არა თუ გინდ ერთიც სანთელის ნატეხი. აენთებოდა — ეს იქნებოდა ნიშანი მსხვერპლის მიღებისა „დიდი დედის“ მიერ.

უკან დარჩენილ დედებსაც ჰძაბავდა მძაფრი ლოდინი: განრთხმულ იყვნენ მიწაზე და ეკვროდნენ ერთმანეთს ვითარ დაფრთხობილნი ნიამორნი. მიწა, დედა იღქმევდა მათს გზნებას და მოჰქონდა იგი წირვაში აგზნებულთა მიმართ, ქვეყენილ მატებდა ეს ძალას მწირველ დედებს.

უეცრად ჩრდილი მოედო არეს. შეჰკრთნენ სამნი. აიხედეს მაღლა.ზრქელი ღრუბელი იფინებოდა. განვლო ღრუბელმა: გაინთქა ჩრდილი. კვლავ ახალისდა ცხრათვალა მზე, ხალასი. შემკრთალთ გულს მოეშვათ — ხოლო ლოდინი კიდევ უფრო გაუმძაფრდათ.

აჰბერა სული მეორეხელ ამქმელმა ნაკვერჩხალს. აენთო ერთი ნატეხი სანთლისა. მალვე დაემხვენ დედები ნეტარებით. აღაპყრეს მაღლა ხელნი. ხელში კვერი ეჭირა თვითეულს. იხმეს „დიდი დედა“ აღტინებულებმა. გაისმა ირგვლივ გულისხმიერი ძახილი: „მოგვეც, მოგვეც სიმრავლე ვაჟთა!“ თანბის დედა გულში ამასაც უმატებდა: „შეჰმატე, დედაო, ჩემს ძეს ძალა ვაჟისა!“

მოათავეს ზორვა. კვერები „ზუმელში“ ჩაალაგეს: დაკრძალეს, ზე დიდი ქვა დაადვეს, ბრტყელი. სამჯერ მუხლი მოიყარეს. ამობრუნდენ უკან უსიტყვოთ.

სხვები პირქვედამხობილ უცდიდენ ამობრუნებულთ,ხმაამოუღებლივ. სცნეს თუ არა მათი მოახლოვება, წამოდგნენ წამსვე და ერთხმად შეეგებენ: „გაგმარჯვებიათ მიწის სალოცავის ლოცვა!“ „თქვენც გაგმარჯვებიათ!“ მიუგეს დაბალი ხმით დაბრუნებულებმა. გადაეხვიენ ერთიმეორეს, დაკოცნეს ერთმანეთი.

დასხდენ, იგეგმეს სამხვერპლო ნაცხობი. ისხდენ დაყურსულნი. ჰხარობდა ტანი ქალებით. სიტყვამაც იმატა. ტელინელ. წამოდგენ ახალისებულნი და შვებით დაეშვენ სოფლისაკენ.

„დიდი დედა“ უშგულს უბეში იხუტებდა.

გრიგოლ რობაქიძე.

(„დალის“ გერმანული ტექსტი წიგნად 1934 წელს სხვა სათაურით დაიბეჭდა)

ავტორისეული მინაწერი: *„დიდი დედა“ — „მაგნა მატერ“ ცნობილია ყველგან. „დედა“: იგულისხმება ქალური თაური მსოფლიოსი. არა მგონია, რომელიმე ხალხს ეგზნოს ეს თაური ისეთი სიღრმით, როგორც ქართველებს. „დიდ-დედას“ სვანთა ესიტყვება „ადგილის დედა“ ხევსურთა: როგორც ასული დედას.*

გვყავს სამი დედა: წმ. ნინო, მეფე თამარ, დედოფალი ქეთევან. *თვითეული მათგანი თავისებურ ასახიერებს ქალურ თაურს. ნინომ დამყნა საქართველოს ხის ტანში ქრისტეს სჯული — ხე იქცა ნამყენით „ხედ სიცოცხლისა“. თამარმა განფინა შარავანდით ხელმწიფება ქართველთა, დგინებული დავით აღმაშენებლის მიერ. ქეთევან ეწამა ნაქმისათვის როგორც ნინოსი, ისე თამარისა. ამ სამის ერთობის მუხლში მოქცეულია უშრეტი ენგადი ქართველთა ყოფისა.*

ნინოს ვიგონებთ იანვარში: „კალენდარულად“. თამარს - მაისში, როცა მიწვეულნი ვართ რომელიმე თამარ — რქმეულთან; ქეთევანს არც ისე ვახსენებთ და არც ასე: დაგვიწყებია.

სასურველია, ეს სამი — ნინო, თამარ, ქეთევან — ერთად მოვიგონოთ:მოვიგონოთ ფესვებით. დღესასწაულისთვის მე ვირჩევდი რომელიმე დღეს მწიფობისთვისა. თაოსნად აქ, მგონია, პარიზის ქართველთა სათვისტომო უნდა გამოვიდეს.

ისმის შეკითხვა: „მამათა“ შორის ვინ ვიდღესასწაულოთ?

ჩემი პასუხი: ყველაზე წინ დიდი მეფე, აღმაშენებელი დავით (სხვებზე შემდეგ ვიფიქრებთ). დღედ მისი კულტისა არჩეულ იქმნება აგვისტოს 14: ამ დღეს იქცა იგი, 1121 წელს „ხელმწიფედ“. ამ სახელდების კარდუ-ს გაგებით მოიგონებენ.

გ. რ.

გიორგი გეგეჭკორის ნახატი

რას იტყვი მკითხველო? გამოგვეხმაურეთ.

◎ რატომ იჩაგრება მოსახლეობა?

ხალხს მაღალ მატერიებზე მოსაუბრე ექსპერტები აბნევენ

რა ვალდებულება უნდა შეესრულებინა „ენერგო პროჯორჯიას“ და არ შეასრულა?!

1 აგვისტოდან რეგიონებში 1 კვტ.სთ ელექტროენერგიის ფასი 3,95 თეთრით გაიზარდა. **შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ უკვე მიიღო. „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ტარიფის კორექტირების შესახებ განცხადების წარდგენა ლარის კურსის ვარდნითა და გაზრდილი დანახარჯებით ახსნა. როგორც მოსალოდნელი იყო, მას სხვებმაც მიბაძეს და განცხადება ტარიფის გაზრდის შესახებ „თელასმა“ და „კახეთის სადისტრიბუციო კომპანიამაც“ შეიტანეს.** მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების მიზნით, ხელისუფლება სუბსიდიების გამოყოფას გეგმავს, ტარიფის გაზრდის გამო მოსახლეობაში უკმაყოფილება აშკარად იგრძნობა.

რამდენად აუცილებელია ელექტროენერგიის ტარიფების ზრდა? გაძვირდება თუ არა ელექტროენერგია თბილისში? – ეს კითხვები დღეს უამრავ ოჯახს აწუხებს. სწორედ ამ საკითხზე „ხეი“ **ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ანზორ ჭითანავას** ესაუბრა.

– ელექტროენერგიის ტარიფის რეგულირების საკითხი მთელ მსოფლიოში ძალიან აქტუალურია. თუ ბოლო წლებს გადავხედავთ, ტარიფებს ყველა ქვეყანაში ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ეს გამოწვეულია იმ სირთულეებით, რაც დაკავშირებულია ელექტროენერგიის მოპოვებასთან, წარმოებასთან, ტრანსპორტირებასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან. ამ პროცესებს თავისი დანახარჯი აქვს, თუმცა, როგორც წესი, ყველა ქვეყანა ცდილობს, ელექტროენერგიის ტარიფი მოსახლეობისთვის ხელმისწავდომი იყოს. ელექტროენერგია ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია, ამიტომ დღეს მისი წარმოება ყველგან იზრდება. იზრდება ჩვენთან, საქართველოშიც, მაგრამ უმნიშვნელოდ და ვერ უპასუხებს იმ ამოცანებს, ეკონომიკის ზრდისთვის რომ არის საჭირო. ამიტომ, ტარიფების ნებისმიერი ზრდა, ეს იქნება გაზზე, ელექტროენერგიაზე, საწვავზე, თუ სხვა პროდუქციაზე, ყოველთვის მტკივნეულად აღიქმება, ვინაიდან ჩვენი ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის მხრივ ერთ-ერთი ჩამორჩენილია. თუ, მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში, ელექტროენერგიის წარმოება ჩვენზე ნაკლებია, სამაგიეროდ, იქ მშპ ერთ მოსახლეზე ჩვენთან შედარებით მეტია, ანუ იქაური მოქალაქე უფრო მდიდარია, ვიდრე საქართველოში მცხოვრები. აქედან გამომდინარე, ტარიფის მომატება ყოველთვის მტკივნეულია მოსახლეობისთვის.

– ბატონო ანზორ, რის გამო გახდა აუცილებელი ელექტროენერგიის ტარიფის კორექტირება ამ ეტაპზე?

– მთავარ მიზეზებს შორის უნდა დავასახელოთ დოლარის გამყარება და ლარის დევალვაცია, ჩვენი ეკონომიკის უკუსვლა და მთელი რიგი ფაქტორები, რამაც ელექტროენერგიის ტარიფის მომატება განაპირობა. თუ ამ ყველაფერს დავაკვირდებით და გავითვალისწინებთ, დისტრიბუციას და გამანაწილებელ კომპანიებს ნამდვილად ჰქონდათ საფუძველი, რომ ტარიფის გაზრდის საკითხი დაეყენებინათ. სულ სხვა საკითხია, რამდენად სწორად და ზუსტად შეაფასა სიტუაცია „სემეკმა“ და რამდენად მოახერხა იმ ოქროს შუალედის პოვნა, რომლის დროსაც არც მომხმარებელი ზარალდება და არც – მწარმოებელი. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ „სემეკი“ კი არა, საერთოდ ვერავინ შეძლებს, რომ საქართველოში მომხმარებელი არ დაზარალდეს. რატომ? – იმიტომ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოში გადახდისუუნაროა და გაზრდილი ტარიფების გასტუმრების საშუალება არა აქვს.

– ესე იგი, თქვენი აზრით, ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა აუცილებლობით არის ნაკარნახევი?

– მიმაჩნია, რომ ტარიფის გაზრდა ობიექტური აუცილებლობით იყო და არის გამოწვეული, მაგრამ რამდენით უნდა გაზრდილიყო, ეს სულ სხვა საქმეა. ჩემი აზრით, „სემეკს“ უნდა გაეთვალისწინებინა ის ვალდებულებები, რომლებიც „ენერგო პრო ჯორჯიას“ უნდა შეესრულებინა და არ შეასრულა: თუნდაც ახალი სიმძლავრეების შექმნა, ან გამრიცხველიანება... მიუხედავად ამისა, ყველაფერი ტარიფში იყო ჩადებული და მისი საფასური კომპანიამ მოსახლეობისგან აიღო.

– ფაქტია, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა ელექტროენერგიის გაძვირებით.

– მომხმარებელი არასოდეს იქნება კმაყოფილი და სწორედ ამიტომ, მთავრობის მიერ კომპენსაციის გაცემა ამ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალია, მაგრამ ესეც დროებითი გამოსავალია. ეს არ არის გზა, რომელიც მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერესებს დააბალანსებს და პრობლემებს მოაგვარებს. მთავარი ეკონომიკის წინსვლა და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ზრდაა. ამიტომ, მთავრობამ კომპენსაციის გაცემა დროებით ღონისძიებად უნდა განიხილოს. სხვათა შორის, მე ეს საფეხურეობრივი ტარიფიც დიდ შეცდომად მიმაჩნია. არავითარი საფეხურეობრივი ტარიფი არ უნდა იყოს. ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო თავის დროზე და ის უნდა გამოსწორდეს: მე დამეხმარებიან, თუ თქვენ, ეს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, ტარიფი კი, ყველასთვის ერთი უნდა იყოს.

– განაცხადი ტარიფის გაზრდის შესახებ „თელასმაც“ შეიტანა. როგორ ფიქრობთ, ელექტროენერგია თბილისშიც გაძვირდება?

– „თელასის“ საკითხი ამჟამად განხილვის პროცესშია და ამ განხილვაში მეც ვმონაწილეობ. ვიდრე ყველა კომპონენტს არ განვიხილავთ, არ შევაჯერებთ და დავაბალანსებთ, მანამ ტარიფის გაზრდა ვერ მოხერხდება. ბუნებრივია, ტარიფი თბილისშიც გაიზრდება, იმიტომ, რომ გაზი, რომელიც მეზობელი ქვეყნებიდან შემოგვაქვს, თბილისშიც ისევე ნაწილდება, როგორც რეგიონებში. რეგიონების და დედაქალაქის მომარაგება იზოლირებულად რომ ხდებოდეს, მაშინ შეიძლება არ გაზრდილიყო. სხვათა შორის, ისიც არ არის სწორი, რომ ტარიფი განსხვავებულია სოფლად და ქალაქად.

– ბატონო ანზორ, ზოგიერთი ენერგეტიკოსი და ექსპერტი ამტკიცებს, რომ ელექტროენერგიის გაძვირება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

– ჩვენ ძალიან მაღალ მატერიებზე მოსაუბრე ექსპერტები გვყვანან, რომლებიც ბევრ რამეს ამტკიცებენ, მაგრამ ეს ხალხის დაბნევას იწვევს. არ უნდა თქვა ის, რისი გაკეთებაც არ შეიძლება და ვერ მოხერხდება. ყველა საკითხს დროში და ვითარებაში გადაწყვეტა სჭირდება. ამჯერად ტარიფის გაზრდის საკითხი ობიექტურად დადგა. მეც გეთანხმებით, რომ საქართველოში ტარიფები მაღალია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის გადახდისუნარიანობაა დაბალი. მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც ელექტროენერგიის საფასური 50-52 ცენტია, მაგრამ მოსახლეობა ამ თანხას თავისუფლად იხდის იმიტომ, რომ არ უჭირს. ენერგეტიკის საშენი მასალა არის ტარიფი, სწორედ ამ მასალით შენდება ენერგეტიკა, ამიტომ, არაკომპეტენტურად მიმაჩნია ის ხალხი, ვინც ტარიფების შემცირებაზე ხელაღებით საუბრობს და ცდილობს, ისედაც გაღიზიანებული ხალხი კიდევ უფრო გააღიზიანოს. მოდით, ამგვარი საკითხების გადაჭრა იმ ხალხს მივანდოთ, ვისაც ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვს და რაღაც გაუკეთებია. მომხმარებელი იჩაგრება იმიტომ, რომ ის ღარიბ-ღატაკია და ამ თანხის გადახდა უჭირს, თორემ ნორვეგიაში, მაგალითად, ტარიფი 38-40 ცენტამდე ადის. ეს არის ქვეყანა, რომელსაც 100 პროცენტით აქვს გამოყენებული თავისი ჰიდრორესურსები, მაგრამ ელექტროენერგია იქაც ვერ იაფდება. მიუხედავად ამისა, ნორვეგიელები ძალიან კარგად ცხოვრობენ იმიტომ, რომ მათი შემოსავალი ამის საშუალებას იძლევა.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ კონკურენტული გარემო

გამოსაკვლევი ბაზარი კიდევ მრავლადაა

როგორც ჩანს, სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა თანდათანობით უფრო აქტიური ხდება, რაც, დიდი დაგვიანების მიუხედავად, ერთობ სასიკეთო საქმეა. ცოტა ხნის წინათ ახლად აღორძინებულმა კონკურენციის სააგენტომ საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა დაასრულა, ათას გვერდზე მეტი მოცულობის ანგარიში დადო, რომლის შედეგებზე დაყრდნობით, ქვეყანაში სხვადასხვა სახის საწვავისა და საპოხი მასალის იმპორტიორი კომპანიები კარტელურ გარიგებაში დაადანაშაულა და სოლიდური საჯარიმო სანქციებიც დაუწესა.

იმის მიუხედავად, რომ თავად ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიები კონკურენციის სააგენტოს კარტელური გარიგების არსებობაზე გამოტანილ დასკვნას არ ეთანხმებიან და, შესაბამისად, არც დაკისრებული საჯარიმო სანქციების სამართლიანობას სცნობენ და დავის სასამართლოში გაგრძელებას აპირებენ, ქვეყანაში ანტიმონოპოლიური კლიმატის გასაჯანსაღებლად აღნიშნულ პრეცედენტს უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ წლების მანძილზე საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასები მათზე მსოფლიო ფასებსა და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ტენდენციების სრულიად „აცდენილი“ იყო, რაც, რომ იტყვიან, შეუიარაღებული თვალითაც ჩანდა, თუმცა კი თავად იმპორტიორები ამას კატეგორიულად უარყოფდნენ. მაგრამ, იმის გამო, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტიორები წინა წლებში ხელისუფლების ერთგვარი „მეწველი ძროხის“ როლს ასრულებდნენ, ასეთ წვრილმანებზე კანონი „თვალს ხუჭავდა“, თუმცა კი, არსებითად, ესეც რომ არ ყოფილიყო, არასრულფასოვნების გამო მაინც ბევრი არაფერი შეეძლო.

ახლა ვითარება კარდინალურად შეიცვალა – ძალაში შევიდა ახალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ამოქმედდა მისი დამცველი სტრუქტურა – კონკურენციის სააგენტო, რომელიც, როგორც ჩანს, „პირველ მერცხალზე“ მთელი „გუნდის მოყოლასაც“ აპირებს.

არსებული ინფორმაციით, კონკურენციის სააგენტოს სპეციალისტები ამჟამად იკვლევენ **ფარმაცევტულ** ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, ასევე **ხორბლისა და პურპროდუქტების** ასოციაციის „გლობალ-აგროს“ წევრთა შესაძლო კარტელური შეთანხმების საკითხს, **შავი ზღვის ნავსადგურებში ნავთობპროდუქტთა ტერმინალების მოღვაწეობას**. გარდა ამისა, შესული განცხადების ან საჩივრის საფუძველზე საგენტოში განიხილავენ სათანადო დოკუმენტაციას, რომელიც ეხება **ავტოგაზისა და ფქვილის** სასაქონლო ბაზრებზე, აგრეთვე **„თბილსერვის ჯგუფის“** მიერ „კონკურენციის შესახებ“ კანონის შესაძლო დარღვევებს.

ეს უკანასკნელი შპს „ლიტექსი-სერვისის ჯგუფის“ შეტანილი განცხადების საფუძველზე ხორციელდება, რაც „თბილსერვის ჯგუფის“ კუთვნილი ნაგავსაყრელების გამოყენებაზე უარის თქმითაა გამოწვეული.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააგენტოს აქტივობა ამით არ შემოიფარგლება და პარალელურად ასევე მიმდინარეობს მთელი რიგი **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს** (კერძოდ, **ასპინძის, აბაშის, თერჯოლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების**) მიერ სპეციალური ტექნიკის **ხელმწიფოს** შესყიდვების პროცესში „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევების საკითხის შესწავლა. აგრეთვე იკვლევენ **სს „საქართველოს რკინიგზის“ შვილეული კომპანიის შპს „ტრანს კავკაზუს ტერმინალის“** მიერ დომინირებული მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენებას, რაც შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიშნის“ საჩივრის საფუძველზე ხდება. კონკურენციის სააგენტოს ექსპერტების განსაკუთრებული ყურაღდების ფოკუსშია აგრეთვე **კომუნიკაციების სფერო,** კერძოდ ადგილობრივი **ინტერნეტპროვაიდერები,** ზოგიერთი სხვა კონკურენტული საკითხი.

მოკლე დროში ცნობილი გახდება ხორბლისა და ფქვილის სასაქონლო ბაზრის კვლევის შედეგები, რაც, არსებული ინფორმაციით, შემოდგომაზე მოხდება. ფქვილის ბაზრის კვლევა ახალი წლის შემდეგ დაიწყო და საქმე აზერბაიჯანული კომპანიის „კარატ ჰოლდინგისთვის“ ქართველი მეხორბლეების მიერ წაყენებულ პრეტენზიას ეხება, რომელიც, მათი განცხადებით, 2013-2014 წლებში დომინანტ მდგომარეობას ბოროტად იყენებდა და პროდუქციაზე არასამართლიან ფასებს აწესებდა. ამასთან, საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციაში იმასაც აღნიშნავენ, რომ მას შემდეგ, რაც კონკურენციის სააგენტოს ექსპერტებმა ფქვილის ბაზრის კვლევა დაიწყეს, „კარატ ჰოლდინგი“ კანონით დაწესებულ ნორმებს არ სცილდება. ამჟამად ხორბალი რუსეთიდანაც შემოდის, რამაც ბაზარზე მდგომარეობა დააბალანსა – თუ უწინ აზერბაიჯანულ კომპანიას მასზე 70-პროცენტიანი წილით დომინანტი პოზიცია ეკავა, ახლა ის 35 პროცენტამდე შემცირდა, რაც კანონის მოთხოვნას შეესაბამება. თუმცა კი, წინა წლებში დარღვევების დადგენის შემთხვევაში, „კარატ ჰოლდინგი“ შეესაძლოა, დააჯარიმონ.

ბუნებრივია, რომ ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებამ საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რადგან ეს საკითხი, ისევე, როგორც მედიკამენტებისა და პურპროდუქტების ფასების თემა, წლების მანძილზე „განსახილველად არასასურველ“ საკითხთა ტაბუირებულ სეგმენტს განეკუთვნებოდა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ახლა მთავარია მოვლენათა შემდგომი განვითარების სცენარი, რომელიც, როგორც დასავლური გამოცდილება მოწმობს, ერთმნიშვნელოვანი სულაც არ არის. ამდენად, საქმის ბოლომდე მიყვანა და ვითარების საზოგადოებისთვის სასიკეთოდ შემოტრიალებას კვლავაც დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ოთარ ტურაგელიძე

რა „ძვირფას“ დროში ვცხოვრობთ...

რამდენად დიდ დანაშაულს უნდა მალავდე, რომ საკუთარი თავის დისკრედიტაცია გიღირდეს?!

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ოფიციალური ვერსია ყოველ ახალ სასამართ-

ლო პროცესზე დაუჯერებელი ხდება. ყოფილი პრემიერის დაცვის წევრები აპელირებენ იმაზე, რომ ჟვანია და უსუპოვი უხერხულ ვითარებაში იპოვეს გარდაცვლილები, მაგრამ არაფერს ამბობენ საკუთარ დანაშაულზე, ჰქონდათ თუ არა მათ დასაცავი ობიექტის უყურადღებოდ დატოვების უფლება. პასუხი მარტივია — არა!!!

თბილისის საქალაქო სასამართლოში გარდაცვლილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსმა კობა ხარშილაძემ ჩვენება ნაფიც მსაჯულებს და მოსამართლეს მისცა. პროცესზე ხარშილაძემ სკანდალური ინფორმაცია გაახმიანა. განაცხადა, რომ ყოფილი პრემიერისგან მან სექსუალური სახის შეთავაზებაც მიიღო. აღნიშნულ განცხადებას სასამართლოს დარბაზში მყოფი ხათუნა ხოფერიას რეპლიკები მოჰყვა, რაზეც მოსამართლისგან შენიშვნა მიიღო.

— „სრულიად შოკირებული ვარ ამ ადამიანის დღევანდელი განცხადებით, — აღნიშნა ხოფერიამ ერთ-ერთ ინტერვიუში — ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, არის ის, თუ რამდენად დიდ დანაშაულებს უნდა ფარავდე, რომ 40 წლის ასაკში საკუთარი თავის ასეთი დისკრედიტაცია გიღირდეს? ფორმულირება იყო ისეთი, რომ აშკარად ეტყობოდა, მას მსაჯულების თანაგრძნობის გამოწვევა უნდოდა. კითხვაზე, რატომ დარჩა ის ჟვანიასთან სამუშაოდ, ზუსტი პერიფრაზი რომ გავაკეთო, ასე ჟღერს: „18 წლის ღარიბი ბიჭი ვიყავი...“ ფაქტი ერთია, ის ტყუილს ამბობს, ჩემთვის აქ კითხვის ნიშანი არ არსებობს, მაგრამ მის ამ ტყუილს რომ გავყვეთ, მივიღებთ სურათს, რომ 11 წელი ბედნიერად იმსახურა ზურა ჟვანიასთან.

ყველაზე სასაცილო ის იყო, თუ როგორ გაიარა მან მერიის საატესტაციო გამოცდები ზურას გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში, როგორ აიღო უმაღლესი ქულები და დაინიშნა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე. არადა, მისი გონებრივი შესაძლებლობები, იმ დარბაზში ვინც ვიჯექით, ყველამ კარგად ვიცით და მეტყველებაზეც ეტყობა .

— თქვენ იცნობთ მას?

— რა თქმა უნდა, ერთი პერიოდი ჩვენთან პრესსამსახურში გადმოიყვანა ზურამ სამუშაოდ, მაგრამ მისი გონებრივი შესაძლებლობების გამო, ზურას ვთხოვეთ და ისევ დააბრუნა დაცვაში. გასაოცარი ისაა, რომ, პრაქტიკულად, მან დანაშაული აღიარა — როგორ ამოიღო პრემიერის გარდაცვალებიდან 2 საათის შემდეგ მისი ჩანთიდან სეიფის გასაღები და როგორ დააცარიელა სეიფები. ასევე ოპერატიულად გახსნა ვაშლიჯვრის პარტიულ ოფისში ჟვანიას სეიფი და ისიც გაასუფთავა. როგორც თვითონ ამბობს, გაუფორმებელი იარაღი გადამალა. ამას მოჰყვა ჩემი რეპლიკა, „რატომ გადამალე, დაიჭერდნენ ზურას და შეგეშინდა-მეთქი?“ საქმე ისაა, რომ ეს გაუფორმებელი იარაღი არსად არ ჩანს. სად წაიღო? ასე, რომ ჟვანიას დაცვის უფროსმა არ მოახდინა ჟვანიას კაბინეტის და პირადი ნივთების დალუქვა, აი, ახლა იმსჯელოს საზოგადოებამ, რატომ უნდა დაიბრალო ადამიანმა ასეთი დანაშაული, თუ ბევრად უფრო მძიმე დანაშაულის არ გეშინია.

— რატომ ჰყავდა გვერდში ასეთი ადამიანი ჟვანიას?

— ზურას ბევრი დაცვის წევრი ჰყავდა. მათ შორის მალხაზ დოჭვირი, კახა გოჩაშვილი, რეზო ქადაგიძე, კიდევ ბევრი სხვა ძალიან ჭკვიანი პიროვნება,



რომლებიც ზურამ სხვადასხვა უწყებებში დაასაქმა. ეს საცოდავი იმდენად უტვინო იყო, დასაქმებით ვერსად დაასაქმებდა და ქუჩაში ხომ ვერ გააგდებდა.

— მოსამართლე თქვენი რეპლიკის გამო გაბრაზდა?

— მოსამართლემ მთხოვა, აღარ შემეშალა ხელი სხდომის მიმდინარეობისთვის. საერთოდ, ერთი მთავარი მომენტია, ვინ მისცათ ამ ადამიანებს ზურას სიკვდილ-სიცოცხლის განკარგვის უფლება? სასწრაფო არ გამოიძახეს. უსუპოვის გვამი მანქანაში ჩადეს და ამოიღეს.. ხარშილაძემ გადაწყვიტა , რომ მკვდარია და მორჩა? იქნებ შეიძლებოდა შველა? იქნებ კომაში იყვნენ? მაგრამ ის, რომ არც ექიმი გამოიძახეს, არც ხმაური ატეხეს, არც მეზობლები გააღვიძეს — ამის გამართლებას ამ ვერსიით ახდენენ. ვითომ უხერხული სურათი დახვდათ და არ შეიძლებოდა ხალხს ენახა. რა უხერხულიც არ უნდა ყოფილიყო, ექიმი, სასწრაფო არ უნდა გამოეძახათ?“

იმედია, ნაფიცი მსაჯულები ჯეროვან დასკვნას გამოიტანენ და ვერდიქტიც სამართლიანი იქნება!!!

ვინ სცოდავს სინდისისა და ისტორიის წინაშე: დუმბაძე თუ დარჩიაშვილი?!

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი, ქართველ მწერალს ნოდარ დუმბაძეს აკრიტიკებს და წერს: „ახლა ფბ-ზე, ვიღაც აშრიალებს „თეთრი ბაირაღებიდან“ პასაჟებს და წერს, გენიალურიაო. ვიღაც ულაიქებს, აბა რა ავუხსნა, როგორ გავაგებინო, რომ ამ სიტყვების, პასაჟების დამწერი ნოდარ დუმბაძე სცოდავდა სინდისისა და ისტორიის წინაშე. რომ ვინმე ქურდი დევდარიანის სიტყვები მდარე ტომობრიობა და პოპულიზმია: „მიტომ გჯობივარ, რომ დევდარიანი ვარ...მილიონი რომ იშოვე, მეორე რაღად გინდა...“ გენაცვალეთ, „თეთრი ბაირაღები“ ტიპური ქართულ-საბჭოთა ნაწარმოებია, სტალინის ფილოსოფიის გადმომცემი, რომელშიც ქურდული და კომუნისტური ლოგიკა ერწყმის ერთმანეთს. მაგრამ ეგ ხომ სკოლაში და ოჯახში უნდა ისწავლოთ.

„ექსპერტის“ დამოკიდებულებამ დიდი მწერლის მსოფლმხედველობის მიმართ გულწრფელი აღშფოთება გამოიწვია. სოციალურ ქსელში დარჩიაშვილის მისამართით შეურაცხყოფის ნიაღვარი წამოვიდა...

„აი, შე დებილო!!!! შენნაირ გონებაშეზღუდულ ლელვს რომ ლიტერატურაზე და ისტორიაზე ალაპარაკებს ის ქვეყანა მართლა დაღუპულია! შე წვერიანო კომბოსტო!

ლიმონა არის ლიტერატურული გმირი! ის არის ქურდი და საუბრობს „ქურდული ფილოსოფიით“. აბა, ქურდ ლიმონას, შენი აზრით, ულტრათანამედროვე ბიზნესმენის ფსიქიკა უნდა ქონოდა?

ისა, მისმინე შე ტუტუცო! ინდიელი ჯო რასაც ამბობს „ტომ სოიერის თავგადასავალში“ — ეგ მარკ ტვენის მსოფლმხედველობად უნდა გავიგოთ და ვთქვათ, რომ მარკ ტვენს „კოლონიალისტური“ აზროვნება ჰქონდა? აი, შენნაირმა კომბოსტომ წიგნი გინდ წაიკითხოს და გინდა არა.

არანაირი აზრი არა აქვს! შენნაირ ერ-

თუჯრედიანს გინდ წიგნი გადაუშლია და გინდ შპალერი — განსხვავება თუ იყოს რამე! ამნაირი გონებაშეზღუდული თალგამები სად იზრდებიან??? და ამათ „წარმატებულს“ რომ ქვეყანა დაარქმევს, მე იმ ქვეყნის.... მართლა რა ვთქვი!!! — მიმართავს დარჩიაშვილს „რუსთავი—2“-ის ყოფილი თანამშრომელი, პროდიუსერი ბაკურ სვანიძე...

ასეთი „განდონიც“ არ მეგონა

„რუსთავი-2“ ნაგავია, მაგრამ სატელევიზიო სივრცეში მაინც უნდა იყოს,“ — ეს განცხადება „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა გაზეთ „რეზონანსთან“ საუბრისას გააკეთა.

ბერძენიშვილის განცხადებას „ფეისბუქის“ პირად გვერდზე „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამიას რეპლიკა მოჰყვა.

„ნამდვილად, ყველანაირი ნაგავი უნდა იყოს სატელევიზიო სივრცეში. ამიტომაც ყოველთვის ვწერთ თქვენს კომენტარებსაც“, — წერს გვარამია.

ამ პოსტს „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის თენგო გოგოტიშვილისა და გვარამიას დიალოგი მოჰყვა სოციალურ ქსელში:

„არ მივესალმოთ ამ კაცს? დავუმახსოვროთ მაინც?“ — წერს გოგოტიშვილი.

ნიკა გვარამია: „არც მივესალმოთ და არც დავუმახსოვროთ. თავისი ეყოფა მაგ კაცს. დეგრადირ-დემითოლოგიზირებულია.

თენგო გოგოტიშვილი: я не злопамиатний отомщу и забуду — იქნებ ასე გვეცადა?

ნიკა გვარამია: კარგი დაანებე თავი. ეგეთი მეასე ვიოლინო მაგ უმრავლესობაში იმდენია და ყველა ერთი და იგივე სისულელეს ბოდავს, მაგათ პასუხებზე თუ ავეწყვეთ, საქმე როდისღა ვაკეთოთ...

მაპატიეთ და ასეთი განდონიც არ მეგონა. (პატიებას იმაზე ვითხოვ, რომ არ მეგონა...

„რესპუბლიკელმა“ ლევან ბერძენიშვილმა „რუსთავი-2“-ს ირგვლივ შექმნილი ვითარება „რეზონანსთან“ ინტერვიუში შეაფასა.

„დიახ, დასავლეთისგან იქნება შენიშვნები, ეს კი ბუნებრივია. ნაცმოძრაობაც იტყვის, რომ ვართმევთ ტელევიზიას და დეპუტატების ლიკვიდაციას ვაპირებთ, მაგრამ მთავარია, სასამართლო იყოს დამოუკიდებელი. თქვენ იგრძენით რაიმე ცვლილება „რუსთავი-2“-სგან? მე — არა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ნაგავიც უნდა იყოს ქართულ სატელევიზიო სივრცეში“, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

* * *

რომ არა სოციალური მედია, ასეთი საინტერესო დეტალები ჩრდილში დარჩებოდა, თუმცა, პრესა ხომ იმისთვის არის, რომ სწორედ ასეთი „გულწრფელობა“ გაახმაუროს...

თეა მოსია

◎ ეროვნული გვარდია ნელ-ნელა იწრთობა

სამეთაურო-საშტაბო სწავლება „გორდა 2015“

საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა საველე მომზადების ბანაკ „პალდოში“ სამეთაურო-საშტაბო სწავლება „გორდა 2015“ გაიმართა. სწავლება ნორვეგიის სამეფოს შიდა გვარდიის ორგანიზებით ჩატარდა.

სწავლების მიზანი ეროვნული გვარდიის სხვადასხვა დონის შტაბის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება იყო. წვრთნის ფარგლებში ნორვეგიელმა ოფიცრებმა ქართველ კოლეგებს გამოცდილებაც გაუზიარეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „გორდა 2015-ის“ მიმდინარეობას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ომარ ბეგოიძე, J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი, ბრიგადის გენერალი გიორგი სურმავა, ეროვნული გვარდიის უფროსი, ბრიგადის გენერალი ლევან გამყრელიძე, ნორვეგიის შიდა გვარდიის სარდალი, გენერალ-მაიორი თორ რააბი და დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი, გენერალ მაიორი ოდინ იოჰანესენი, ასევე სხვა ოფიციალური პირები გაეცნენ. სწავლების დასასრულს ქართველმა და ნორვეგიელმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა საქართველოს ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების მომზადების დონე დადებითად შეაფასეს.

საველე მომზადების ბანაკ „პალდოში“ გამგზავრებამდე ნორვეგიის დელეგაციის წარმომადგენლები ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. სტუმრებმა საქართველოს ეროვნული გვარდიის სტრუქტურის, ისტორიის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებიც განიხილეს.

უწყების ინფორმაციით, ეროვნული გვარდიის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ლევან გამყრელიძემ ნორვეგიის სამეფოს შიდა გვარდიის მე-8 ოლქის მეთაური, პოლკოვნიკი თორ მიელსტადი მედლით „გენერალი კვინიტაძე“ დააჯილდოვა. ნორვეგიელმა ოფიცერმა თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი ჯილდო ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის განვითარების საკითხებში შეტანილი წვლილისათვის მიიღო.

ᲠᲣᲡᲗᲐ ᲛᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲝᲜᲗᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ...

СТАЛИН – Бич Божий **ანუ, კალკირებულად ნათარგმნით, სტალინი – ღმერთის მათრახი, ხოლო მოცემულ კონტექსტში ღვთის რისხვა!..**

ახლახან ამ სათაურის შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი ვნახე ინტერნეტში. ფილმი, რომელიც გახდა კიდეც წინამდებარე წერილის შექმნის მთავარი მუზა...

თავი დავანებოთ იმ აქსიომას, რომ რუსეთის დაშლის შემთხვევაში დამდგარი შედეგი, დამანგრეველ-გამანადგურებელი იქნება არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ თვით საქართველოსთვისაც!!!

თუ რატომ, ეს ცალკე წერილის თემაა და ამაზე სხვა დროს...

ამაზე მეოცნებე თანამედროვე, შინაური მედასავლეთე ურაპატრიოტების თუ გარეშე ხლისტების გასაწბილებლად და პირიქით, საღად მოაზროვნე ნამდვილ პატრიოტ ქართველთა გასამხნევებლად და იმისთვისაც, რომ ამ თავითვე ცხადი გახდეს – სად პუტინი, სტალინი, მათრახი თუ ღვთის რისხვა, ანუ, ჩვენებურ-კახურად – „სად ერეკლე და სად თეკლეო“, რუსეთის ისტორიაში მცირე ექსკურსი მოვაწყოთ.

ისტორიაში, რომელიც იმას ღაღადებს, რომ მართლმადიდებელი (!!!) რუსეთის დაშლა (თუ რატომ სამი ძახილის ნიშნიანი კატეგორიულობა, ამაზე ქვემოთ) პრაქტიკულად, გამორიცხულია, რადგან უკიდურესი გაჭირვების ჟამს, როდესაც თითქოსდა რუსთა სახელმწიფოს არსებობას წერტილი უნდა დასმოდა, მათ განგება ყოველთვის მოუვლენდა ხოლმე მხსნელ მესიას!

ეს რომ ასეა, საილუსტრაციოდ, წმინდა ალექსანდრე ნეველისა და დიმიტრი დონელის შორეთში ნუ წავალთ და ივანე IV მრისხანეს შემდგომი პერიოდის (1598-1613) გახსენებით დავიწყოთ, რომელიც ე.წ. „ველიკაია სმუტას“ სახელით არის ცნობილი:

ორი ცრუ დიმიტრის, ივანე მრისხანეს თვითმარქვია „შვილების“ ხანმოკლე მეფობა, ივანე ბოლოტნიკოვის აჯანყება, ავანტიურისტი ვასილი შუისკის მეფობის შედეგად, მოსკოვის, პოლონეთის მეფე ვლადისლავის მმართველობაში გადასვლა, 1612 წლის აგვისტოში, მინინ-პოჟარსკის სახალხო ლაშქრის მიერ პოლონელი ინტერვენტების მოსკოვიდან გაძევება და ბოლოს უმეფობის პერიოდის შემდეგ, 1613 წლის 21 თებერვალს, საერო კრების, ე.წ. „ზემსკი სობოროს“ მიერ, მიხეილ რომანოვის მეფედ დანიშვნით, რომანოვების დინასტიის დასაწყისი და ე.წ. „ველიკაია სმუტას“ დასასრული.

თუმცაღა, მრავალწლიანმა ქაოსმა რომანოვების დინასტიას მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა:

მოშლილი ხელოსნობა-ვაჭრობა, თითქმის მთლიანად დაცარიელებული ხაზინა და ამ ყველაფრიდან ლოგიკურად გამომდინარე, ევროპის ქვეყნების განვითარების დონისგან სერიოზული ჩამორჩენა, რის აღმოფხვრასაც არა ერთი ათეული წელი დასჭირდება...

სწორედ ამ დროს მართლმადიდებელ რუსეთს მხსნელად, მესიის მახვილად, XVII საუკუნის ბოლოს, რუსეთის ისტორიაში უკანასკნელი მეფე და 1721 წლიდან კი პირველი იმპერატორი, პეტრე I დიდი მოევლინა.

იმპერატორმა, რომელიც დიდი ალბათობით მამით ქართველი (!?) იყო, 1700-1721 წლების ხანგრძლივი, ე.წ. ჩრდილოეთის ომების ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთა შვედეთის იმპერატორ კარლოს XII იმპერიული ამბიციები ევროპაში, რომელმაც ბალტიის სანაპიროზე პეტერბურგის აშენებით არა მხოლოდ „სარკმელი გაჭრა ევროპაში“, რითიც რუსეთის ევროპეიზაციას დაუდო სათავე, არამედ ერთხელ და სამუდამოდ რუსეთი ძლევამოსილ იმპერიად აქცია, რომელმაც ევროპაში დომინანტობაზე განაცხადა საფუძვლიანი პრეტენზიები!

ხოლო შვედეთი, ერთხელ და სამუდამოდ ევროპის რიგით სახელმწიფოდ იქცა, რომლის წარსულში იმპერიული ამბიციები დღეს ლგბტ-პედერასტების ლიდერობის ამბიციებად ტრანსფორმირდა, მაგრამ ამაზედაც ქვემოთ...

პეტრეს შემდგომი პერიოდიც გარკვეულწილად „სმუტად“ შეიძლება განვიხილოთ მრავალი ე.წ. სასახლის გადატრიალებების გამო, რადგან პეტრე II თუ პეტრე III , ვერ აღმოჩნდნენ დიდი სეხნია პაპის ღირსეული მემკვიდრეები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ უკანასკნელის, რბილად რომ ვთქვათ, არა ადეკვატური „მოღვაწეობა“ – პეტრე III, ტახტზე ასვლამდედაც, დღეს როგორც იტყოდნენ, აფანატებდა პრუსიის იმპერატორ ფრიდრიხზე. პრუსიაზე, რომელთანაც რუსეთი მუდმივ კონფლიქტში იყო.

იმპერატრიცა ელიზავეტა პეტროვნას სიკვდილის შემდეგ საიმპერატორო ტახტზე ასული ხომ საერთოდ თავს გავიდა – თავი დავანებოთ იმას, რომ ახირებული პრუსიელი კუმირის ბაძვით, ყველგან ორი მწევრის თანხლებით დაბრძანდებოდა, ორი ძაღლის „ანტურაჟით“ ღებულობდა უცხო ქვეყნების დესპანთ თუ საკუთარ მინისტრებს, რითიც ხაზსს უსვამდა მათ მიმართ ამპარტავნებით შეზავებულ დამცინავ დამოკიდებულებას – ზღვა სისხლის ფასად ბერლინში შესულ რუსის ჯარს დაატოვებინა აღებული დედაქალაქი და, პრაქტიკულად, დამარცხებულ ფრიდრიხთან ზავი დადო და თანაც ქვეყანაში ხმა დაირხა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პრუსიულ პროტესტანტულით ჩანაცვლება განიზრახაო!

ეს უკვე აშკარად სახელმწიფო ღალატად აღიქვა რუსეთის სამხედრო ელიტამ და სამმა ძმა გრაფ ორლოვებმა, რომლებიც პეტრე III წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორები იყვნენ, იმპერატორი, მიხელოვნების ნიმუშთა უმდიდრესი კოლექციით.

ერთი სიტყვით, რუსეთის იმპერია ევროპის კულტუროსან სახელმწიფოებს ტოლს აღარაფერში უდებდა. ამიტომაც შევიდა ეკატერინეს მმართველობა რუსეთის ისტორიაში ოქროს ხანის სახელით, რის გამოც მადლიერმა რუსმა ხალხმა იმპერატრიცა ეკატერინეს, დიდი უწოდა.

ეკატერინე II დიდი, რომელიც პეტრე I დიდის შემდეგ კიდევ ერთი, რუსი ერის მხსნელი – მესიის მახვილი აღმოჩნდა!..

ეკატერინეს შემდეგ 1796 წელს საიმპერატორო ტახტზე ადის მისი შვილი პავლე I, რომელიც 1798 წლიდან ე.წ. **მალტის ორდენის დიდი მაგისტრის ტიტულსაც ატარებს?!**

პარადოქსული ფაქტია, სახელმწიფოში, რომელსაც შეფარვითა თუ აშკარად მსოფლიო მასონობა ებრძოდა, რუსეთის იმპერატორი ხდება მასონებთან გარკვეულწილად ასოცირებული მალტის ორდენის დიდი მაგისტრი?!

პავლე I, რომელსაც დედა იმპერატრიცა მაინცდამაინც არ სწყალობდა და იმპერატორად პავლეს შვილსა და საკუთარ შვილიშვილს, ალექსამდრეს მოიაზრებდა, არც რუს ხალხს უყვარდა?!

ასე იყო თუ ისე, 1801 წელს პავლეს წინააღმდეგ შეთქმულებმა იმპერატორი საკუთარ საძინებელში მოკლეს. შეთქმულებამ, რომელშიც პეტრე პირველის ქართველობისა არ იყოს, ქართული კვალის გარეშე არ ჩაუვლია – მისი აქტიური მონაწილენი თავის დროზე ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში დარჩენილი ქართველებიც იყვნენ.

(ეს ისე, ცნობისთვის, საგულისხმო პარალელი – ქართული ფაქტორი, როგორც მინიმუმ ქვემოთ კიდევ ორჯერ იჩენს თავს...)

შეთქმულების შედეგად ბებია ეკატერინეს ფავორიტი შვილიშვილი ალექსანდრე I ავიდა ტახტზე!

როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადჰყვეს, ეს გადატრიალება სასიკეთოდ წაადგა რუსეთის იმპერიას, რადგანაც არავინ იცის, მალტის ორდენის დიდი მაგისტრი რას იზამდა, როდესაც ევროპელი მასონების წაქეზებით და დაფინანსებით ნაპოლეონის ურდოები შეესია რუსეთის მართლმადიდებელ მონარქიას!

ნაპოლეონის მანამდე უძლეველი ჯარების რუსეთის სტეპებში მთლიანად განადგურებით და შემდეგ უზურპატორის პარიზშივე საბოლოოდ დასამარებით, ალექსანდრე პირველმა რუსთა მხსნელი მესიის მახვილის და მასონთა ღვთის რისხვის მისია, წარმატებით აღასრულა!

მას შემდეგ, მთელმა XIX საუკუნემ, ვიდრე 1917 წლის აგრეთვე მასონურ შეთქმულებამდე, რუსეთის იმპერიის ძალმოსილებით ჩაიარა!

და მიუხედავად იმისა, რომ მთელი ეს პერიოდი, რუსეთის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომებსა და ქონფლიქტებში, ზოგადად გეოპოლიტიკური ინტერესების გარდა, აშკარად იკითხებოდა „კულტუროსან“ ევროპელ, მოგვიანებით ამერიკელ მასონთა მთავარი ინტერესი – როგორმე უნდა დაემხოთ ზემძლავრი მართლმადიდებელი მონარქია!

(ესეც ზემოთ შეპირებული სამი ძახილის ნიშნიანი კატეგორიულობის ახსნა – მართლმადიდებელი იმპერიის არსებობა ისეთივე გაჩხერილი ძვალი იყო მასონი ძაღლების ყელში, როგორც დღეს არის ზოგადად მართლმადიდებლობა ნეოლიბერალი ხლისტების თვალში).

რუსეთის, რომელიც, როგორც წესი მართოდმარტო იგერიებდა მსოფლიო მასონთა შემოტევებს და ამიტომაც მოუვიდა აზრად

იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ეთქვა – რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს – რუსეთის არმია და ფლოტი!

თუმცაღა ამ ერთგულმა მოკავშირეებმაც ვეღარ უშველეს რუსეთს და პირველი მსოფლიო ომის შედეგად, აკი დაამხეს კიდეც, მაგრამ...

ერთი სიმღერისა არ იყოს – „ზღაპარია თუ ნამდვილი, ვინ მოიგონა, ვინ იცის“, მაგრამ წერილის მუზად მიჩნეული ზემოთ ხსენებული ფილმი ირწმუნება, რომ სასულიერო სემინარიის ბოლო კურსელ სოსო ჯუღაშვილისთვის ახალ ათონზე (აფხაზეთი) მოღვაწე ერთ მეუფეს უთქვამს, რომ მალე რუსეთს, როგორც ჭეშმარიტი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთადერთ საყრდენს, მსოფლიო მასონები შემოუტევენ და შენი მისია რუსეთის, იგივე მართლმადიდებლობის გადარჩენაა?!

კიდევ ვიმეორებ, არავინ იცის, „ზღაპარია თუ ნამდვილი“, მაგრამ ის კი უდავო ფაქტია, რომ სემინარიის წარჩინებულმა სტუდენტმა უარი თქვა ბოლო გამოცდის ჩაბარებაზე და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება.

ისიც ნამდვილია და არა ზღაპარი, რომ გერმანიაში „დაპლომბილი“ ვაგონების 170 მგზავრიდან, რომლებიც ლენინის მეთაურობით 1917 წელს პეტროგრადში ჩამოვიდნენ, 128 ტომით ებრაელი, სიონისტი ებრაელი იყო!

ისიც სიმართლეა, რომ მთავარი სიონისტი, ლევ დავიდოვიჩ ტროცკი, ამერიკიდან, უშუალოდ ამერიკის პრეზიდენტის, მასონი ვუდრო ვილსონის ფინანსურ-პოლიტიკური ხელშეწყობით ჩამოვიდა პეტროგრადში;

1919 წელს, მასონმა უინსტონ ჩერჩილმა ლორდთა პალატაში გამოსვლისას გერმანიაში „პლომბირებული“ ვაგონი ხოლერის, ტიფის და შავი ჭირის ბაცილებით სავსე ქილას შეადარა, რომელიც მასონთა დავალებით გერმანელებმა შეუგზავნეს, რომელიც მთელს რუსეთს უნდა მოსდებოდა და აკი მოედო კიდეც – ტროცკის თამადობით იმ 128 ებრაელმა ბოლშევიკურ რუსეთში საკვანძო თანამდებობები დაიკავეს და რუსული სახელმწიფებრიობის საფუძვლის, მართლმადიდებელი ეკლესიებისა და სარწმუნოების მიზანმიმართული ნგრევა დაიწყეს;

ისიც ხომ ნაღდზე უნაღდესია, რომ ტროცკისტი მასონები სემინარიის ნასტუდენტარმა, ყოფილმა სოსელომ, იოსებ სტალინმა გაანადგურა;

არავის უნახავს იმის დამადასტურებელი ფოტო, ან რაიმე დოკუმენტი, სტალინი ლოცულობდა თუ არა, ანუ, ღმერთი სწამდა თუ არა, მაგრამ რა ვუყოთ იმ უეჭველ ფაქტს, როცა 1941 წლის ზამთარში, დაცემის პირას მდგომი მოსკოვის თავზე სტალინის ბრძანებით ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი შემოატარეს თვითმფრინავით?

ან რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ 1943 წელს სტალინმა რუსეთს პატრიარქის ინ-

სტიტუტი აღუდგინა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ არ ჰქონია და საქართველოს კი — ავტოკეფალია?

სტალინის მესიანობის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა თუ რიტორიკული კითხვების დასმა, კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია საიმისოდ, რომ განვაცხადოთ:

სტალინი იყო Бич Божий — რუსთა და ყველა საბჭოთა ხალხების მესიის მახვილი და მასონთა ღვთის რისხვა;

ესეც კიდევ ერთი ქართული კვალი...

სტალინმა დაამარცხა მასონთა მეცადინეობით საბჭოეთზე შემოსეული ფაშისტური გერმანია და არა მხოლოდ ყავისფერი ჭირისგან იხსნა მსოფლიო, არამედ 60-70 წლით შეაჩერა ის პროცესები, რაც ალენ დალესის დოქტრინის მიხედვით დღეს მიმდინარეობს:

ეკლესიებსაც ანგრევენ თანამედროვე მასონები და ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის კომუფლაჟით, რაც, პირველ რიგში, ლგბტ პედერასტების უფლებების დაცვას, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას გულისხმობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თითოეული ინდივიდის სულში არსებულ ეკლესიას, სულიერებას უნგრევენ ადამის მოდგმას!

ისტორია ჩვენს თვალწინ მეორდება — აშშ-ის (წაიკითხე მსოფლიო მასონთა) გავლენის აგენტების, გორბაჩოვ-ელცინის მეცადინეობით, პირველმა საბჭოთა კავშირი დაშალა და მეორემ რუსეთის კუდის რიკამდე გაძარცვა უზრუნველჰყო გასული საუკუნის 90-იან წლებში!

და როდესაც რუსეთის დაშლა-დაქუცმაცების მორიგ ცრუ მოლოდინში მსოფლიო მასონ-ხლისტები (წაიკითხე აშშ) სიამოვნების მოლოდინში ხელებს იფშვნეტდნენ, რუსეთს განგებამ კიდევ ერთი Бич Божий — რუსთა მესიის მახვილი და მასონთა ხვთის რისხვა მოუვლინა ვლადიმერ პუტინის სახით.

პრეზიდენტი, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ, პირადი დიდი რისკის ფასად, ჯერ სამოქალაქო ომის ქაოსიდან გამოიყვანა ქვეყანა და შემდეგ ნელ-ნელა აღადგინა რუსეთის სამხედრო ძლიერება, რაც საბჭოეთის დარად შიშის ზარს სცემს ლიბერალობაში ნამეტნავად „პრადვინუტ“ ამერიკას!

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ყირიმის, მორალურად სრულიად ლეგიტიმური „ანექსიით“, ვლადიმერ პუტინმა რუს ხალხს სიამაყის, ღირსების განცდა დაუბრუნა, რაც გამრავლებული რუსეთის მძლავრ სამხედრო პოტენციაზე, მართლაც უძლეველობის განცდას ბადებს!

რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც კანონის ძალით აკრძალა გეიაღლუმების გამართვა, რაც მას შემდეგ, რაც აშშ-მა საკუთარი ქვეყნის მასშტაბით ყველგან დააკანონა ერთსქესიანი ქორწინებები და უფრო მეტიც, სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის პირით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიმუქრა ამ „ჰუმანური“ აქტის გავრცელება, პუტინის რუსეთის ხისტი პოზიცია ამ უზნეო სიბინძურის მიმართ, კიდევ უფრო აქტუალური და მისასალმებელია!

ახლა, მავანი შემედავება — ამერიკამდე მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში იყო დაკანონებული ერთსქესიანი ქორწინებები და რაღა აშშ დაგვესო გულზე ეკლადო?

საქმეც მაგაშია, რომ ლგბტ სამოთხედ მიჩნეული ჰოლანდია, დანია, ნორვეგია თუ იგივე შვედეთი, მიუხედავად ძლიერი ეკონომიკებისა, პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით ევროპის რიგითი სახელმწიფოებია!

სულ სხვა დატვირთვა და ძალა აქვს, როცა ლგბტ ბელადობაზე განაცხადს პოლიტიკურ-ეკონომიკურად ზესახელმწიფო, აშშ აკეთებს, რადგან მის მაგალითს, როგორც ბევრის თვალში დემოკრატიის ეტალონს, მრავალი შესცქერის წაბაძვის თვალით — ასეთის მაგალითს მეტი გადამდები ძალა აქვს!

ერთსქესიანი ქორწინებები კი, სამწუხაროდ, მხოლოდ იმას არ ნიშნავს, ქალი ქალთან დაწვება თუ კაცი კაცთან. ეს სწორედაც რომ პოლიტიკური საკითხია, პოლიტიკა, რომლის მიზანია ყოველგვარი მორალის, ეთიკის, ტრადიციებისგან და ა.შ. დაცლილი საზოგადოების, მე ვიტყოდი ჰომონეოლიბერალის მენტალიტეტის, ცხოველის მსგავსი ადამიანის შექმნა!

აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, რომ რუსთის სახელმწიფოს ხისტი პოზიციის მნიშვნელობა მსოფლიოს ლგბტ-ზაციის მიმართ მართლაც იმედის მომცემია და არა მხოლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის!

დიახ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ლგბტ-უმცირესობებისგან ჩაგრული (და არა პირიქით) დასავლეთის ნორმალური საზოგადოებები, რომლებიც ხმის ამოღებას ვერ ბედავენ (ან თუ ბედავენ, უშედეგოდ — პარიზში, მილიონიანი მარში), იმედის თვალით უყურებენ რუსეთის პრეზიდენტს, თუნდაც ოკუპანტს, რომლის, შეიძლება ითქვას, სტალინის სტილში, სადა, გასაგებმა, ლაკონურმა, ვაჟკაცურმა კითხვა-პასუხებმა, არ შეიძლება, არ აღგაფრთოვანოს!

პუტინის შემთხვევაში მასონ ნეოლიბერალებს კიდევ ერთი „იაღლიში“ მოუვიდათ — არნახულად გაძლიერდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მართლმადიდებლობა, რომელიც დაუძინებელი მტერია ლგბტ-პედერასტებისა და გადაულახავი ზღუდე ნეოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის!

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ რუსეთის ორბიტა (გნებავთ ევრაზიული კავშირი დაარქვით) ის დაცული სივრცეა საქართველოსთვის, სადაც ლგბტ სულის წამწყმედი ჭირი ვერ გავრცელდება, ერთსქესიანი ქორწინებები ვერასოდეს დაკანონდება.

ანუ, გადაგვარების საფრთხე შეიძლება ავიცილოთ და ყოველგვარი მორალის, ზნეობისგან თავისუფალი საზოგადოების ნაწილი არ გავხდეთ!

აღარაფერს ვიტყვი რუსეთთან ახლოს ყოფნის ეკონომიკურ ფაქტორებზე და საერთოდ ხმას არ ამოვიღებ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსის ალბათობაზე, რაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე წარმოუდგენელია!



ისე, პუტინის დედის საქართველოში ცხოვრებაზე ჭორი თუ სიმართლეა, ეგეც შენი კიდევ ერთი მორიგი ქართული კვალი?!

ეს, რა თქმა უნდა ხუმრობაგაშვებით...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲮᲔᲘᲫᲔ

◎ ᲘᲪᲝᲓᲘᲗ?

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘ — XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘ (ᲠᲩᲔᲣᲚᲘ) — ᲐᲛ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲩᲐᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ 1924 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲓᲐᲐ�პᲐᲢᲔᲜᲢᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ.

ᲑᲝᲠᲘᲡᲘ 1899 ᲬᲔᲚᲡ, ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲜ�გᲠᲔ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲡ-ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲜ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ �გᲠᲘ�გᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲗᲚᲘᲐ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲤᲔᲝᲓᲝᲠ ᲨᲐᲚᲘᲐ�პᲘᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲓᲐᲜ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲐᲚᲘᲐ�პᲘᲜᲘ ᲜᲐᲗᲚᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲓᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲕᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲗ. ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲭᲘ ᲒᲐᲐᲦᲠᲕᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲓ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ.

ᲛᲝ�გᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲠᲘᲡᲛᲐ Ს�წᲐᲕᲚᲐ �პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ�გᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ �გᲐᲜᲐ�გᲠᲫᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲬᲘᲕᲘᲡ. 1918-1920 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲪ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ �გᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ — „ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘ“. ᲨᲔᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1919 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲗᲐᲐ ᲓᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Ა. ᲨᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ, ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ 1929 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ.

1922 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲛᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲐ�პᲐᲢᲔᲜᲢᲐ ᲛᲐ�გᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲖᲔ, ᲐᲜ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲔᲡ �გᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲐᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ �გᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐ�გᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲮᲔᲠᲮᲘᲗ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲐᲓ. 1921-1922 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲯᲐᲕᲨᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲓᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ�გᲘᲡ ᲤᲔᲮᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ. ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲨᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ �გᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Ა. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐ�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲛᲔᲕᲘᲝᲚᲘᲜᲔᲛ ᲘᲐᲨᲐ ᲮᲔᲘᲤᲔᲪᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ.

ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ Ა�პᲐᲠᲐᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ �გᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲠᲐ ᲗᲕᲘᲡ შემდეგ, 1927 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲐ�პᲐᲢᲔᲜᲢᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ �გᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ — ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲩᲐᲛᲬᲔᲠᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲘᲛᲐᲕᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲒᲐᲬᲧᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲡ ᲕᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ.

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 20-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘᲡ �გᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲪᲐᲚᲐ. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲛᲐᲝᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ სახელმწიფო ორგანოების დაინტერესებას, მერე კი, იძულებული გახდა, სატელეფონო ქარხანაში დაეწყო მუშაობა. ცნობილია, რომ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘ სამუშაო ადგილს ხშირად იცვლიდა, მაგრამ სადაც უნდა ემუშავა, გამომგონებლის ნიჭსა და უნარს ყველგან ამჟღავნებდა. გარდა ზემოთ დასახელებული გამოგონებებისა, ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲡ ᲡᲮᲕᲐ მნიშვნელოვანი გამოგონებებიც ეკუთვნის, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ელექტროლიტური კონდენსატორი, კანიფოლით შევსებული სარჩილავი მავთული, ასევე — სამხედრო დანიშნულების ელექტრონული მოწყობილობები და ტელევიზიისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲝᲕᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲐᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ �გᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ.

მოგვაწოდა
ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲩᲘᲒᲝᲒᲘᲫᲔ.

◎ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲘᲘᲥᲘᲐ ᲙᲝᲯᲝᲠᲨᲘ, ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲐᲙᲡ ᲔᲬᲕᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗᲘᲗ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲯᲘᲘᲥᲘᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲔᲪᲜᲝ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲝ.

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲪᲮᲔᲚ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲒᲐᲠᲔᲗ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲥ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲕᲔᲡᲬᲐᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲗᲔᲛᲐᲪ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲙᲝᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲪ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲬᲐᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ. ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲐᲘᲠ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, ᲙᲝᲯᲝᲠᲨᲘ, 3-ᲓᲐᲜ 17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲡᲣᲚ 76 ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲡ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲜᲘ ᲙᲕᲔᲑᲘᲗ, ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 14450 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 2 სექტემბრის №70/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა და 2015 წლის 30 ივნისის №46 განკარგულებისა, 2015 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცენტრალურ ოფისში (სანაპიროს ქუჩა №2, ოთახი №416) დღის 12 საათზე ჩატარდება საჯარო აუქციონი, ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

დანართი N1

N	საინვენტარო ნომერი	ძირითადი საშუალების დასახელება	სარეალიზაციო ღირებულება
1	18253	კომპიუტერის მონიტორი "HP Compaq1530"	36
2	13079	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	72
3	15943	პრინტერი "Canon MF 3228"	45
4	13957	კომპიუტერი "Ibm 2000"	45
5	13960	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	45
6	16968	კომპიუტერი "DELL 210L"	85
7	11208	კომპიუტერის მონიტორი "DELL 15"	45
8	14699	სვიჩი "Cisco 2950"	45
9	10402	კომპიუტერის მონიტორი "Dell 15"	45
10	15936	პრინტერი "HP LJ 2420"	45
11	13989	კომპიუტერი "Ibm 2400""	85
12	13961	კომპიუტერის მონიტორი "Ibm 15"	45
13	17160	ნოუთბუქი "Ibm R 40"	85
14	20530	ნოუთბუქი "DELL D520"	128
15	14973	სერვერი "IBMx346"	128
16	14971	სერვერი "IBMx445"	128
17	15336	სვიჩი "სისკო 2950"	54
18	12013	სკანერი "Hp 2400"	36
19	10405	პრინტერი "Hp lj 1012"	45
20	10459	პრინტერი "Hp lj 1012"	45
21	13528	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	85
22	10504	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	85
23	12005	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	85
24	11248	კომპიუტერი "Hp compaq dx 6100"	85
25	12269	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	45
26	12006	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	45
27	14039	პრინტერი "Hp lj 1012"	54
28	11016	პრინტერი "Hp lj 1012"	54
29	11616	პრინტერი "Hp lj 1012"	54
30	11017	კომპიუტერის მონიტორი "Hp 1530"	54
31	15712	კომპიუტერი "HP Compaq 6100 "	85
32	17141	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Netgear"	45
33	13294	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	45
34	13476	კომპიუტერის მონიტორი "HP 1506"	54
35	14795	უწყვეტი კვების წყარო "MGE 1100"	27
36	11549	კომპიუტერი "Dell 210L"	102
37	14517	კომპიუტერი "Dell 210L"	102
38	21507	კომპიუტერი "Dell 210L"	102
39	10426	კომპიუტერი "Dell 210L"	102
40	11411	კომპიუტერი "Dell 210L"	102
41	13191	კომპიუტერი "Dell 210L"	102
42	14002	კომპიუტერი "Dell 210L"	102
43	12090	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	54
44	11421	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	54
45	10046	კომპიუტერის მონიტორი "HP 1530"	54
46	17792	ნოუთბუქი "Hp 6830 S"	128
47	13022	ნოუთბუქი "Dell D520"	128
48	10413	ნოუთბუქი"Dell D520"	128
49	16001	ნოუთბუქი "Dell D520"	128
50	11751	ნოუთბუქი"Dell D520"	128
51	11371	ნოუთბუქი "Dell D520"	128
52	20029	ნოუთბუქი"HP 530"	153
53	13942	ნოუთბუქი "Dell D520"	128
54	13181	პრინტერი "Hp lj 1020"	72
55	13818	პრინტერი "Hp lj 1020"	72
56	12446	პრინტერი "Hp lj 1020"	72
57	11088	პრინტერი "Hp lj 1020"	72
58	10337	პრინტერი "Hp lj 1020"	72
59	10525	პრინტერი "Hp lj 2420"	153
60	14817	პრინტერი "Hp lj 2420"	153
61	14572	პრინტერი "Hp lj 2420"	153
62	13026	პრინტერი "Hp lj 2420"	153
63	10815	პრინტერი "Hp lj 2420"	153
64	10595	პრინტერი "Hp lj 2420"	153
65	13831	კომპიუტერი "Dell 620"	153
66	13760	ნოუთბუქი "Dell D520"	298
67	21575	დისტანციური ინტერნეტის ბლოკი "Linksys"	36
68	14065-13729	ნოუთბუქი "Hp 2710"-სადგურით	340
69	12906	პრინტერი "Hp lj 1012"	85
70	16991	სერვერი "IBM xserver 445"	383
71	12871-12872	ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით	255
72	17148	ნოუთბუქი "Samsung r710"	213
73	17193-16933	ნოუთბუქი"Sony Vaio" -სადგურით	255
74	15977	ნოუთბუქი "Dell D520"	153
75	19546	პრინტერი "Hp lj p-1120"	72
76	21885	კომპიუტერი "Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
77	19580	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
78	19524	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
79	19582	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
80	21841	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
81	21805	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
82	21776	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
83	19522	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
84	22746	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
85	19573	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
86	21795	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	170
87	22449	ნოუთბუქი"Hp 6930"	213
88	17542	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
89	17545	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
90	17590	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
91	17522	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
92	17529	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
93	17786	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
94	17532	კომპიუტერი "Hp dx 2400"	128
95	21212	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
96	19626	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
97	19625	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
98	17582	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
99	17599	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
100	17561	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
101	17581	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
102	17573	ნოუთბუქი"Hp 4510s"	213
103	17541	ნოუთბუქი "Hp 4510s"	213
104	17197	ნოუთბუქი "Hp 530"	128
105	17562	ნოუთბუქი "Hp 530"	128
106	17567	ნოუთბუქი "Hp 530"	128
107	17535	ნოუთბუქი"Hp 530"	128
108	18290	ნოუთბუქი "Hp 530"	128
109	17575	ნოუთბუქი "Hp 530"	128
110	17598	ნოუთბუქი "Hp 530"	128
111	17568	ნოუთბუქი "Hp 530"	128
112	17576	ნოუთბუქი "Hp 530"	128
113	17198	ნოუთბუქი "Hp 530"	128
114	17784	ნოუთბუქი "Hp 530"	128
115	17574	ნოუთბუქი "Hp 530"	128
116	18229	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s"	213
117	17570	ნოუთბუქი "Hp 530"	111
118	17602	ნოუთბუქი "HP Compaq 6830s "	255
119	21741	პრინტერი "HP L J 1120"	72

120	18326	საარქივო მონაცემების შემნახველი "Ibm ds 4700"	3400
121	15995	კომპიუტერი "HP Compaq DX6100"	153
122	20030	პრინტერი "HP Officejet 7000 Wide Format"	102
123	20013	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	298
124	20025	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	298
125	20020	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	298
126	20018	ნოუთბუქი "HP Probook 4520 s Notebook PC"	298
127	19576	კომპიუტერი "HP Compaq DC7900 Convertible Minitower PC"	153
128	1861	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	5100
129	1862	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24"	5100
130	1979	უწყვეტი კვების წყარო "APC SMART_UPS SC 450VA"	102
131	11615	ტელევიზორი "პანასონიკი"	85
132	13240	ტელევიზორი "Filipsi" დასადგამით	128
133	11768	ქსეროქსი "Canon PC 860"	72
134	15431	ტელევიზორი "Filipsi"	72
135	11821	ქსეროქსი "Canon ir 2020"	102
136	13550	ქსეროქსი "Canon lb mf 3228"	54
137	20050	ვირტუალიზაციის სერვერი "HP DL 180 G6"	298
138	213	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	45
139	221	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	45
140	231	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	45
141	232	უწყვეტი კვების ბლოკი "UPS APC BACK/BK "500-RS,500VA, 230V	45
142	237	კომპიუტერი "Ibm 2400"	85
143	248	კომპიუტერი "Ibm 2400"	85
144	261	კომპიუტერი "Ibm 2400"	85
145	272	პრინტერი "HP LaserJet 1010 "	45
146	273	პრინტერი "HP LaserJet 1010 "	45
147	357	ქსეროქსი "Canon pc 120"	72
148	464	სერვერი "HP Server ML 110"	128
149	612	სვიჩი "Cisco WS-C3550-24-SMI"	255
150	613	სვიჩი " Cisco WS-2950T-24"	85
151	803	კომპიუტერი "HP 2400 "	85
152	814	პრინტერი "HP 1150"	54
153	896	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	153
154	897	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 1505 "	153
155	898	ლეპტოპი "FUJITSU AMILO PRO PI 3405 "	128
156	1863	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	5100
157	1864	3 დონის ქსელური კომუტატორი "CISCO WS-C3750 G-24 T-E"	5100
158	15901, 16978, 16979	ვიდეო სათვალთვალო სისტემა (1 ც მულტიპლექსორი VideoTronic"; 2 ცალი სერვერი; 5 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	689
159	27627	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ციფრული ვიდეო ჩამწერი "H. 264 Digital Video Recorder; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	1033
160	27630, 27643, 27642, 15889	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი " NT-2416R"; 1 ც მონიტორი "Videotronic"; 1 ცალი მართვის პულტი Videotronic 1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 5 ცალი "Dome" კამერა)	1377
161	15492	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 15 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic")	1033
162	27634, 27628	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი სერვერი "Honeywell"; 1 ცალი "UPS MGE - 1500"; 1 ცალი "Dome" კამერა)	689
163	15493, 15662	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 8 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	1033
164	15491	ვიდეოკონტროლის აპარატურა (5 ცალი მულტიპლექსორი; 1 ცალი მონიტორი "VideoTronic 10 ცალი ვიდეოკამერა "VideoTronic" და "Panasonic"; 3 ცალი ვიდეოკამერის სამაგრი ფეხი)	1033
165	27629	ვიდეო კონტროლის სისტემის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 7 ცალი ვიდეოკამერა "YC 67 M")	4131
166	18951	დაშვების ელექტრონული სისტემა (5 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავეჯი)	10328
167	27641	ვიდეოკონტროლის აპარატურა (1 ცალი მართვის პულტი "Panasonic"; 8 ცალი კამერა "VS-115NSHN-3")	1377
168	15490	ვიდეოკონტროლის სისტემა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "Hitachi"; 10 ცალი ვიდეოკამერა "Panasonic")	1033
169		დაშვების ელექტრონული სისტემა (1 ც კონტროლერი პლატა; 1 ცალი საბარიერო ავეჯი)	1377
170	15905	ვიდეო კონტროლის აპარატურა (ვიდეოჩამწერი "Panasonic")	138
171	27635, 27636, 13233, 13230, 13221, 13226, 13227, 13225	ვიდეო კონტროლის აპარატურა–სვიჩი (5 ცალი სერვერი "Honeywell"; 2 ცალი გადამყვანი "SLT-1610R 1 ცალი სვიჩი "Cisco 3560"; 17 ცალი ვიდეო კამერა "YC 491W")	5508
172	27639	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი მოდემი; 1 ცალი გადამყვანი "SLT-1610R")	689
173	15806, 15907	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი სისტემის კონტროლი"VideoTronic"; 1 ცალი გადამყვანი „Everplex“)	689
174	15659	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	138
175	15406	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	138
176	15889	ვიდეო მონიტორი "VideoTronic"	207
177	18072-27640	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 10 ცალი "Dome" კამერა)	3099
178	18073	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 5 ცალი "Dome" კამერა)	2410
179	27632	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 8 ცალი "Dome" კამერა)	2410
180	27631	ვიდეო–საკონტროლო სისტემის აპარატურა (1 ცალი გადამყვანი "NT-2416R"; 2 ცალი "Dome" კამერა)	689
181	27637	ვიდეო კონტროლის აპარატურა (1 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 3 ცალი "Dome" კამერა)	3443
182	27638	ვიდეო კონტროლის აპარატურა (2 ცალი ვიდეო ჩამწერი "QX 1600"; 8 ცალი "Dome" კამერა)	10328
		ჯამი	97688.00

ლოტების საწყისი სააუქციონო ფასი განსაზღვრულია №1 დანართში მითითებული ფასების მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე“-ს მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის № GE88NB0450100117904101 ანგარიშზე, (ს/კ 203 824 148, ბანკის „SWIFT“ კოდი: BNLNGE22). აუქციონის დასრულების შემდეგ დაფიქსირებული თანხის გადახდა სავალდებულოა დადგენილ ვადებში. მყიდველს გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას. განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 5 (ხუთი) ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს ობიექტის მთლიანი თანხა ან ნახევარი მაინც, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ ნახევარი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება ოქმის ხელმოწერიდან კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია, საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. ასევე აუქციონში გამარჯვებულის დადგენის და მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული თანხის სრულად დაფარვის შემდეგ მოხდება ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

პირს უფლება აქვს, ბეს დაუკავებლად უარი განაცხადოს წერილობითი ფორმით საჯარო აუქციონში მონაწილეობაზე, განაცხადების მიღების ვადის ამოწურვამდე 48 საათით ადრე.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და ლოტების სანახავად შეგიძლიათ მიმართოთ ბექა ბარბაქაძეს (ტელ: 2 40-63-97, მობ: 577 98-40-34).

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია

◎ ეს პრესტიჟია საქართველოსი!

კატალონიამ სუპერთასი მეხუთედ თბილისში „მოიბარსელონა“

2015 წლის ევროპის სუპერთასი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა „ბარსელონამ“ მოიგო. კატალონიურმა გუნდმა ევროპალიგის მომგები „სევილია“ თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ ძალიან დაძაბული მატჩის დამატებით დროში 5:4 დაამარცხა!

„ბარსელონამ“ სარეკორდოდ, მეცხრედ ითამაშა ევროპის სუპერთასზე და მეხუთედ გაიმარჯვა. ამ ტრიუმფით კატალონიელები სუპერთასის რეკორდსმენ „მილანს“ გაუთანაბრდნენ!

მსოფლიოს წლის ფეხბურთელად ოთხჯერ აღიარებულმა ლეო მესიმ „სევილიას“ ორი გოლი გაუტანა. ის სუპერთასის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. „ბარსელონას“ დანარჩენი გოლები ლუის სუარესმა, რაფინიამ და პედრო როდრიგესმა გაიტანეს. „სევილიას“ ოთხი გოლი ბანეგას, გამეიროს, რეიესის და კონოპლიანკას ანგარიშზეა.

„ყველა დარწმუნდა, რომ თითოეული თასის მოგება რთულია. ძალიან ბედნიერი ვარ ამ ტრიუმფით, თუმცა, უკვე მომდევნო მატჩზე უნდა გადავერთოთ და ახლა ესპანეთის სუპერთასის მოგებაზე ვფიქრობთ. თბილისამდე შორი გზა გამოვიარეთ, თუმცა, ნამდვილად ღირდა - ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, მატჩი კი საოცარი გამოდგა. ძალიან ბედნიერი ვარ“! — განაცხადა „ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ. ის მხოლოდ მეოთხეა, რომელმაც ეს ჯილდო ფეხბურთელის და მწვრთნელის რანგში მოიგო.

„მეგონა, ჩვენს სტადიონზე ვთამაშობდით — საოცარი გულშემატკივრობა იყო და ამისთვის ქომაგებს მხოლოდ მადლობა — დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს! რაც შეეხება ჩემს ორ გოლს, ვთვლი, რომ გამიმართლა. მთავარი მაინც ისაა, რომ სუპერთასი მოვიგეთ — ტიტული ყველაფერზე მაღლა დგას და მიხარია, რომ ჩვენ მორიგი ჯილდო მოვიგეთ! ახლა სხვა მატჩები გველის და ვეცდებით სხვა ტიტულებიც მოვიგოთ“, — ლეო მესი ჟურნალისტებს მთავარი მწვრთნელის შემდეგ შეხვდა.

ცნობისათვის: „ბარსელონამ“ და „სევილიამ“ ეს ჯილდო მეორედ გაითამაშეს. 2006 წელს სევილიელებმა კატალონიელები 3:0 დაამარცხეს. აქვე გეტყვით, რომ ევროპის სუპერთასი ზედიზედ მეორედ გაითამაშეს ესპანურმა კლუბებმა — შარშან „სევილია“ მადრიდის „რეალთან“ დამარცხდა.

2016 წელს ევროპის სუპერთასი ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმში გათამაშდება.

11 აგვისტო, 2015. ევროპის სუპერთასი. თბილისი, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“. 51490 მაყურებელი

„ბარსელონა“ 5:4 (დდ) „სევილია“

გოლები: 0:1 ევერ ბანეგა (3), 1:1 ლეო მესი (7), 2:1 ლეო მესი (16), 3:1 რაფინია (44), 4:1 ლუის სუარესი (52), 4:2 ხოსე ანტონიო რეიესი (57), 4:3 კევინ გამეირო (72), 4:4 ევგენი კონოპლიანკა (81), 5:4 პედრო როდრიგესი (115).

„ბარსელონა“: მარკ-ანდრე ტერ შტეგენი, ხერარდ პიკე, ივან რაკიტიჩი, სერხიო ბუსკეტსი, დანი ალვეში, ანდრეს ინიესტა (კაპ) (სერხი რობერტო 63), ლუის სუარესი, ლეო მესი, რაფინია (მარკ ბარტრა 78), ხავიერ მასკერანო (პედრო როდრიგესი 93), ჟერემი მატიო

მწვრთნელი: ლუის ენრიკე

„სევილია“: ბეტო, ბენუა ტრემულინასი, ადილ რამი, გრუეგორუ კრიხოვიაკი, მიქაელ კრონ-დელი, ვისენტე იბორა (ჩირო იმობილე 80), კევინ გამეირო (მარიანო 80), ხოსე ანტონიო რეიესი (კაპ) (ევგენი კონოპლიანკა 68), ევერ ბანეგა, ვიტოლო, კოკე.

მწვრთნელი: უნაი ემერი

გაფრთხილება: გრუეგორუ კრიხოვიაკი, ჟერემი მატიო, კოკე, ევერ ბანეგა, ჩირო იმობილე, პედრო როდრიგესი, სერხიო ბუსკეტსი, დანი ალვეში, მიქაელ კრონ-დელი

მსაჯები: უილიამ კოლამი (შოტლანდია); ფრენსის კონორი (შოტლანდია); დემიენ მაკგრათი (ირლანდია).

საოქმო მაჩვენებლებს მიღმა ის უდიდესი მასშტაბის მოსამზადებელი სამუშაოები იმალება, რაც სრულიად საქართველომ გასწია ისტორიული შეხვედრის ღირსეულად სამასპინძლოდ.

საფეხბურთო ზეიმი დაამშვენეს სწორუპოვარმა ანსამბლმა „ერისიონმა“ და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან შეკრებილმა მომავალმა თაობამ და ვეტერანებმა.

მოკლედ, საქართველო კვლავაც რეგიონის არაოფიციალურ ლიდერად რჩება!

გიორგი შოთაძე

◎ ჭიდაობა

„ოქრო-ვერცხლის“ სტარტი

პლანეტის უძლიერესმა ახალგაზრდა ფალავნებმა ბრაზილიის ქალაქ სალვადორში მოიყარეს თავი, სადაც 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ასპარეზობის პირველ დღეს ხალიჩაზე ოთხი ქართველი მოჭიდავე გავიდა: ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები - ნუგზარ წურწუმია (50 კგ), ლევან ქავჟარაძე (60), გელა ბოლქვაძე (74) და ნიკოლოზ კახელაშვილი (96). მათგან ორი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ერთმა კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნუგზარ წურწუმიამ დაამარცხა უნგრელი იოზეფ ანდრაში (10:0), აზერბაიჯანელი ნოლალ ბაბაიევი (5:2), უზბეკი იავოხირ მირახმედოვი (6:4), გადამწყვეტი პაექრობა კი ირანელ რეზა ხედრისთან დათმო (1:2) და მეორე ადგილს დასჯერდა.



გელა ბოლქვაძემ (74) ასპარეზობა მძიმედ დაიწყო: უნგრელ ზოლტან ლევაისა (2:2) და ირანელ მაჰდი ედრაჰიმთან (4:4) ფრედ დაამთავრა შეხვედრები, მაგრამ უკეთესი ილეთების წყალობით გავიდა მეოთხედფინალში, სადაც აზერბაიჯანელ შამისტან გულუზადეს აჯობა მინიმალური ანგარიშით (3:2), შემდეგ იაპონელი შოეი იაბიკუ დაჯაბნა (10:0), ფინალურ შეხვედრაში კი თურქ აკბუდაკ ბურჰანს მოუგო 4:3 და ჩემპიონობა მოიპოვა.

96 კილოში სახელოვანი მწვრთნელის — დათო დავითაიას შვილიშვილმა ნიკოლოზ კახელაშვილმა დაიმსახურა ოქროს მედალი: ქართველმა ფალავანმა ზედიზედ ჩამოიცილა გზიდან ბელარუსი დმიტრი კამინსკი (6:0),, ჰონდურასელი კევინ კასტილიო (2:1), უნგრელი ზოლტ ტოროკი (2:1), ფინალში კი ირანელ ჰოსეიმი ამირჰუსეინს მოუგო (1:0).

ლევან ქავჟარაძე (60) ირანელი სადატი ფარდისა (6:1) და თურქი უჩარ აჰმეტის (9:1) ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ კარიმ ჯალაზოვს დანებდა (7:8), სანუგეშოში სომეხ ტარონ დუმონიანთან მარცხის შემდეგ (3:17) კი მედლისთვის ბრძოლას გაემოთიშა.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: ილეთს ატარებს გელა ბოლქვაძე; ნიკოლოზ კახელაშვილი.

◎ მოვლენის შემდეგ

ევროპის სუპერთასის რეკორდები

„ყველა დროის საუკეთესო სუპერთასი“! — ასე დაასათაურა ფრანგულმა ტელეკომპანია „ევროსპორტმა“ „ბარსელონა“ — „სევილიას“ თბილისური პაექრობა.

ფრანგი ჟურნალისტების გარეშეც ყველა თანხმდება, რომ ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ გამართული მატჩი საუკეთესოა სუპერთასის ისტორიაში! არანაკლებ სასიხარულო კი ისაა, რომ თბილისური შეხვედრა არაერთი საინტერესო მიღწევით და რეკორდით გამოირჩა:

— სევილიელმა ევერ ბანეგამ მესამე წუთზე სუპერთასის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა!

— ესპანურმა კლუბებმა მესამედ გაითამაშეს სუპერთასი. ეს რეკორდია. საგულისხმოა, რომ „სევილია“ სამივე გათამაშებაში მონაწილეობდა.

— „ბარსელონას“ ლიდერს ლეო მესის სუპერთასზე უკვე 3 გოლი აქვს გატანილი. ეს არი ჰაანის, ფრანკი ვან დერ ელსტის, გერდ მიულერის, ოლეგ ბლოხინის, ტერი მაკდერმოტის, რობ რენსენბრინკის და რადამელ ფალკაოს რეკორდის გამეორებაა.

— „სევილია“ პირველი გუნდია, რომელმაც სუპერთასზე სამგოლიანი ჩამორჩენა გააბათილა!

— „ბარსელონას“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ სუპერთასი ფეხბურთელის და მწვრთნელის რანგში მოიგო. აქამდე ეს მხოლოდ კარლო ანჩელოტიმ, ხოსეპ გვარდიოლამ და დიეგო სიმეონემ შეძლეს. ამ ოთხი მწვრთნელიდან მხოლოდ ლუის ენრიკეს გაუტანია გოლი სუპერთასის მატჩში — 1997 წელს.

— „ბარსელონას“ ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა მეოთხედ მოიგო სუპერთასი და იტალიელი პაოლო მალდინის რეკორდი გაიმეორა!

— ოთხი გოლის გატანის მიუხედავად, „სევილიამ“ მაინც წააგო. ასეთი რამ სუპერთასზე პირველად მოხდა!

— „ბარსელონამ“ მეხუთედ მოიგო სუპერთასი და რეკორდსმენ „მილანს“ გაუთანაბრდა!

— „ბარსელონა“ პირველი გუნდია, რომელმაც ერთმატჩიან სუპერთასზე ამდენი გოლი გაიტანა!

— დანი ალვეშმა მალდინის კიდევ ერთი რეკორდი გაიმეორა — მეხუთე სუპერთასზე ითამაშა!

— ამდენი გოლი ევროპის სუპერთასის მატჩში პირველად გავიდა!

— „ბარსელონამ“ მეცხრედ ითამაშა ევროპის სუპერთასზე. ეს რეკორდია!

— ესპანურმა კლუბმა მეთორმეტედ მოიგო სუპერთასი. ეს რეკორდია!

— ლეო მესის უეფას ეგიდით გამართულ საკლუბო ტურნირებში 80 გოლი დაუგროვდა და რეკორდსმენ კრიშტიანუ რონალდუს გაუთანაბრდა!

51490 — ერთ მატჩში და ნეიტრალურ მოედანზე გათამაშებულ ევროპის სუპერთასს პირველად დაესწრო ამდენი მაყურებელი!

კოზა კოზახიძე

◎ კალათბურთი

მაკედონიელთა მე-3 გამარჯვება

მაკედონიის საკალათბურთო ნაკრებმა, რომელიც 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საქართველოს ერთ-ერთი მეტოქეა, მოსამზადებელ ციკლში ზედიზედ მე-3 მატჩი მოიგო.

შეგახსენებთ, რომ მარიან სრბინოვსკის შეგირდებმა ოჰრიდის ტურნირზე ისრაელს (75:58) და უკრაინას (81:51) სძლიეს, გუშინ კი სკოპიეში იგივე ისრაელი 69:64 დაამარცხეს.

გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო სამარძინსკი გახლდათ, რომელმაც 13 ქულა ჩააგდო, სტოიანოვსკის ანგარიშზე 12 ქულა იყო, გუროვსკიმ კი 10 ქულა მიითვალა. ისრაელის ნაკრებში 18-18 ქულით მეკელი და კასპი გამოირჩნენ.

მაკედონიის ნაკრები მორიგ სპარინგ-მატჩს ხვალ გევგელიაში ვენესუელის წინააღმდეგ ჩაატარებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვაი, რა მეხი დაგვეცა!

წასვლა სჯობს წარმავალისა...

ევროპის სუპერთასის შეხვედრით მოგვრილი სიამოვნება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა დომენტი (შინაურობაში ზვიად) სიჭინავამ გაგვიფერმკრთალა — გადავწყვიტე სფფ-ს პრეზიდენტობიდან ბიზნესში გადავინაცვლო.

ადამიანს დროული ნაბიჯის გადადგმა პიკზე ყოფნისას უნდა შეეძლოს. ვთვლი, რომ „ბარსელონა“ — „სევილიას“ მატჩის ორგანიზებაში შეტანილი წვლილი ჩემი პიკია, ამიტომ ბუცები კედელზე უნდა ჩამოვკიდო — განაცხადა მან.

თურმე, 6-წლიანი მმართველობით ქართული ფეხბურთი მე დავღუპე, ამიტომ უნდა წავიდე — დასძინა რუსულ საცირკო ხელოვნებაში გამობრძმედილმა ფართო დიაპაზონის მოღვაწემ.

როგორც შევიტყვეთ, ფედერაციის იმ ყრილობის ჩატარების თარიღი, სადაც არაორდინარული პიროვნების მემკვიდრე უნდა აირჩიონ, ერთ კვირაში გამოცხადდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ესეც ბიზნესია!

კავკასიური სოჭის ექსპორტი შემცირდა

კავკასიური სოჭის თესლი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. უკვე წლებია, რაც საქართველოდან სოჭის თესლი ექსპორტზეც გადის, ძირითადად ევროპის ქვეყნებში. თუმცა, თავის დროზე მომგებიანი ბიზნესი დღეს საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია. როგორც Bpn.ge-სთან საუბრისას გირჩის გადამამუშავებელი ქარხნების მფლობელები ამბობენ, ბოლო წლებში ექსპორტი მკვეთრად შემცირდა.

კავკასიური სოჭის თესლი ექსპორტზე ძირითადად დანიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოში, უნგრეთში, პოლონეთში, ბელორუსში, ჩეხეთში, ლიხტენშტეინში, ბელგიასა და აშშ-ში გააქვთ. ყველაზე მსხვილი საექსპორტო ქვეყანა ქართული სოჭისთვის დანიაა. სტატისტიკის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ექსპორტზე გატანილი კავკასიური სოჭის თესლის სტატისიტიკა კი ასეთია: 2009 წელს ექსპორტზე დანიაში 29 ტონა სოჭის თესლი გავიდა; 2010-ში – 38 ტონა, 2011-ში – 56; 2012-ში – 38 ტონა; 2013-ში – 48 ტონა, 2014-ში – 40 ტონა.

კავკასიური სოჭის თესლის მოპოვება-გადამუშავება ძირითადად ამბროლაურში ხდება. გირჩას ადგილობრივები აგროვებენ. ერთი კილოგრამი გირჩის ფასი 1-დან 1,5 ლარამდე მერყეობს. ერთ გირჩში დაახლოებით 25 თესლია. თოთოეული თესლისგან გაზრდილი ნაძვის ხე ევროპაში საახალწლოდ დაახლოებით 30 ევროდ იყიდება. როგორც ექსპორტიორები ამბობენ, ხშირია შემთხვევები, როცა კერძო პირები დამოუკიდებლად ცდილობენ გირჩის მოპოვებას და შემდეგ ექსპორტზე გატანას. თუმცა, არასწორი გზით მოპოვებული და დამუშავებული გირჩი უხარისხოა და ექსპორტიორი ქვეყანა მის მეორედ მიღებაზე უარს ამბობს.

ექსპორტიორების თქმით, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, მთავრობამ კავკასიური სოჭის მოსაპოვებლად ლიცენზია დააწესა. როგორც ამბობენ, გადასახადები საკმაოდ მაღალი იყო – 6 000- 10 000 ლარი. ლიზენცია კი 10 წლის ვადით გაიცემოდა.

შპს „ჯადვარი აბიერის“ დამფუძნებელი ლევან დოლიძე ამბობს, რომ მის კომპანიას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს დანიაში მოქმედ ერთ-ერთ კომპანიასთან და ლიცენზიის საფასურიც სწორედ კონტრაქტორებმა გადაიხადეს: ჯერჯერობით, ლიცენზიას ვადა აქვს და მერე რა იქნება, არ ვიცით. 25 წელია, რაც ამ საქმით ვარ დაკავებული დანიელები უკვე გვენდობიან, იციან, რომ უხარისხო თესლს არ მივაწვდით. თუმცა, ზოგი ცდილობს, დამოუკიდებლად გავიდეს ბაზარზე. სეზონის დაწყებამდე გირჩს აგროვებენ და აბარებენ. თუმცა, გირჩის დაკრეფა თავის დროზე უნდა მოხდეს, ისე უხარისხოა. ეს კი არ იციან და ამიტომ, იმპორტიორი ქვეყანა შეიძლება ერთხელ შეცდეს, მაგრამ მეორედ მისგან თესლს არ მიიღებს.

– როგორც ვიცი, ყველაზე დიდი მოთხოვნა სწორედ დანიიდან მოდის, საახალწლოდ ნაძვის ხეები გამოჰყავთ ჩვენებური თესლიდან...

– კი, ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზარი დანიაა, თუმცა, ბოლო წლებში მოთხოვნა საკმაოდ შემცირდა. აქედან გატანილი თესლით თვითონ გამოჰყავთ ჯიშები და შესაძლოა ერთ მშვენიერ დღესაც თესლი არ დასჭირდეთ.

– ყოფილა შემთხვევა, როცა მოსავალი ნაკლებად ან თითქმის არ მოსულა? ასეთ დროს რას აკეთებთ?

– ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს სპეციალური სამაცივრე დანადგარები, სადაც სოჭის თესლს ვინახავთ იმ შემთხვევისთვის თუ მომდევნო წელს მოსავალი არ მოვა და შესაბამისად ექსპორტზე გასატანი მარაგი მაინც გვაქვს. წელს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს მოსავალს და ვნახოთ, რა იქნება. ბოლო დროს რუსეთი საკმაოდ დიდ კონკურენციას გვიწევს. რადგან მათი თესლი ყინვაგამძლეა და მასზე მოთხოვნა დიდია. ხშირად ნერგებს ყინვა აფუჭებს.

მაყვალა კუჭავა, შპს „მანას“ დამფუძნებელი: „გასულ წელს სოჭის გირჩის თესლი ჩვენ ექსპორტზე არ გაგვიტანია, რადგან მოთხოვნა არ იყო. ექსპორტი შემცირდა, რადგან წლების მანძილზე ქვეყნიდან ძალიან დიდი რაოდენობის თესლი გავიდა, მარაგი დაგროვდა და ექსპორტიც შემცირდა. არ ვიცი, სტატისტიკურად ეს როგორ გამოისახება, მაგრამ ფაქტია, რომ ექსპორტი შემცირდა. რაც შეეხება რუსეთს, ყოველთვის იყო ჩვენი კონკურენტი, მაგრამ უცხოელები მაინც ყოველთვის ცდილობდნენ, რომ სოჭის თესლი საქართველოდან გაეტანათ, რადგან ჩვენი სოჭის თესლი ხარისხობრივად გაცილებით უკეთესია“.

სალომე გოგოხია

◎ მედიცინა

კიბოს დიაგნოსტირების ახალი მეთოდი

ბოლო დროს სამედიცინო პერიოდულ გამოცემებში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ მეცნიერებმა შარდის ანალიზის საფუძველზე კიბოს დადგენის მეთოდი შეიმუშავეს.

– ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტირების ასეთი ექსპრეს-მეთოდი მართლაც არსებობს, თუმცა კი ჯერჯერობით მხოლოდ კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის – რედ.) გაჩენის შემთხვევაში, – აცხადებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი სერგეი კოლესნიკოვი. – ეს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა, რადგან ამ სნეულების ადრინდელ სტადიაზე დიაგნოზის დასმა მანამდე შემთხვევათა მხოლოდ 3 პროცენტში იყო შესაძლებელი. აღმოჩნდა, რომ სიმსივნის დადგენა, 90-პროცენტიანი ალბათობით, შარდში სამიცილის კომბინაციითაა შესაძლებელი. გამოკვლევები ამჟამად მხოლოდ დიდ ბრიტანეთში მიმდინარეობს, ამდენად დეტალები ჯერჯერობით უცნობია. თქმა არ უნდა, თუკი პრაქტიკით დადასტურდება, რომ ხელსაწყოების მეშვეობით დიაგნოსტირებისთვის საკმარისი იქნება შარდში კონკრეტული ცილების არსებობის დადგენა, ეს მეთოდი სხვა ქვეყნებშიც აუცილებლად დაინერგება. მაგრამ, თუკი ცილების გამოკვლევა სპეციალური ხელსაწყოებით იქნება საჭირო, რომლებიც სხვა ქვეყნებში, ფაქტობრივად, არ არის, როდის გახდება ის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, ძნელი სავარაუდოა.

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ДОМ ЖУРНАЛА ЗДОРОВЬЕ

◎ ინფორმაცია

ხურჩელები ბორჯომში ისვენებენ

ბორჯომის მუნიციპალიტეტი სოფელ ხურჩის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს მასპინძლობს. ბორჯომში სოფელ ხურჩის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები მშობლებთან და პედაგოგებთან ერთად იმყოფებიან.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავლის“ ინიციატივით, სტუმრები 2 კვირის განმავლობაში წაღვერში დაისვენებენ.

როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა აღნიშნა, მოწვეულ სტუმრებს წაღვერის საბავშვო ბაღის შენობა სრულიად უსასყიდლოდ დაეთმო.

„მოხარულები ვართ, რომ ეს ბავშვები დღეს ჩვენთან იმყოფებიან. საფუძველი ჩაეყარა ორი საბავშვო ბაღის მეგობრობას, რომელიც მომავალში აუცილებლად გაგრძელდება. იმედი გვაქვს ბორჯომში სასიამოვნოდ დაისვენებენ და დადებითი ემოციებით დაბრუნდებიან შინ“, – აღნიშნა გამგებელმა.

სტუმრების პატივსაცემად, ბორჯომის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა ღონისძიებაც მოაწყვეს და მაყურებლების წინაშე სიმღერები და ცეკვები შეასრულეს. პატარებს ასევე უმასპინძლა ბორჯომის ცენტრალურმა პარკმა, სადაც ყველა ატრაქციონი მათთვის უფასო იყო.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

10 ყველაზე ლამაზი ქალაქი ევროპაში

ნამდვილად არ არის საიდუმლო და უჩვეულო ის, რომ პარიზი, რომი, ბარსელონა, ბერლინი მსოფლიოს საოცარი ქალაქებია თავისი მდიდარი კულტურით, ისტორიით, არქიტექტურით, ხელოვნების შედევრებითა და ტურისტების სიმრავლით. თუმცა ევროპა ასევე მდიდარია სხვა ულამაზესი და უჩვეულო ქალაქებით. შემოგთავაზებთ 10 ყველაზე ლამაზ ქალაქად აღიარებულ დასახლებებს.

10. HEIDELBERG, გერმანია

მდებარეობს ოდენვალდის ხეობაში, არის ულამაზესი, რომანტიკული ქალაქი. ქალაქი ცნობილია თავისი ისტორიული „ძველი ქალაქითა“ და ჰაიდელბერგის ციხით. ქალაქი გამოირჩევა ისტორიული ძეგლების სიმრავლით.

9. BRUGES, ბელგია

ეს არის ისტორიული საპორტო ქალაქი ბელგიაში, რომელიც ცნობილია შუა საუკუნეების არქიტექტურითა და ძეგლებით. აქ ნახავთ უამრავ ისტორიულ, კულტურულ ღირსშესანიშნაობას.

8. FERRARA, იტალია

ფერარა ცნობილია თავის ცხრა კილომეტრიანი უძველესი კედლებით, რომელიც გარს ერტყმის ქალაქს. ქალაქში ასევე არის მე-14 და მე-15 საუკუნეებით დათარიღებული უძველესი სასახლეები, საოცარი სახლები, ფართო ქუჩები, მხატვრების, მუსიკოსების, მწერლების ქალაქი დაუვიწყარ სანახაობებს გთავაზობთ.

7. VALENCIA, ესპანეთი

ვალენსია ესპანეთის სიდიდით მესამე ქალაქია. ცნობილია უძველესი და ულამაზესი არქიტექტურით, გრაგნილი ქუჩებით, უამრავი მუზეუმითა და გალერეით.

6. PORTO, პორტუგალია

ევროპის კულტურული დედაქალაქი. ქალაქში მთელი წლის განმავლობაში იმართება მრავალი ფესტივალი, მას ასევე აქვს ხანგრძლივი ტრადიცია მუსიკის, ხელოვნების, მძლეოსნობის დარგში, ამავე ქალაქის სახელით ასპარეზობს უამრავი საფეხბურთო კლუბი.

5. BIARRITZ, საფრანგეთი

ზღვისპირა ქალაქი, რომელიც პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში - ყოველწლიური ფესტივალები იზიდავს სანახაობების მოყვარულთ. ულამაზესი პლაჟები და სასიამოვნო გარემო იპყრობს ტურისტების გულს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.

4. INNSBRUCK, ავსტრია

უნიკალური სილამაზის მქონე ქალაქი. აქ ორჯერ გაიმართა ზამთრის ოლიმპიური თამაშები. ბევრი მუზეუმი, ციხე, ისტორიული ძეგლი, მთის ველოსიპედები... ეს ყველაფერი იზიდავს მნახველებს მთელი მსოფლიოდან.

3. GOTHENBURG, შვედეთი

ცნობილია როგორც დიდი საუნივერსიტეტო ქალაქი. ასევე ცნობილია თავისი მდიდარი სკანდინავიური არქიტექტურით, მუზეუმებით, სპორტული და კულტურული ისტორიებით.

2. BUDAPEST, უნგრეთი



უნგრეთის უდიდესი ქალაქი და დედაქალაქი, რომლის სილამაზეც მთელს მსოფლიოშია აღიარებული. ის არ ჩამოუვარდება შთაბეჭდილებებით ევროპის „ცნობილ დედაქალაქებს“. ის იპყრობს ტურისტების გულს და, როგორც ამბობენ, იქ თუ ერთხელ მოხვდები, აუცილებლად წახვალ კვლავ, რადგან ამოუწურავია თავისი სილამაზითა და არქიტექტურული ძეგლებით.

1. COPENHAGEN, დანია

არქიტექტურის უნიკალური საგანძური, ბევრი პლაჟი ქალაქის გარშემო, იდუმალება, სილამაზე, მომხიბვლელობა... კოპენჰაგენი გაგონებთ მშვენიერ მანდილოსანს, რომლის დაპყრობა განგიზრახავთ და რომლის იდუმალება კიდევ უფრო მეტი ინტერესით განგაწყობთ მისდამი.

თამუნა შათირიშვილი
imogzaure.ge

◎ ზაფხული თბილისში

ზოგი ძალიან ძვირფასი, ზოგიც იაფი

საცურაო აუზები თბილისში მდიდრებისთვის, საშუალო ფენისა და მათთვის, ვინც ხელმისაწვდომ ფასებს ეძებს

ზაფხულში **სიცხის მატებასთან ერთად, ხალხმა ისეთი ადგილების ძებნა დაიწყო, სადაც გაგრილებას, დასვენებას და გარუჯვას შეძლებს. სწორედ ამიტომ, საკმაოდ მაღალი ფასების მიუხედავად, საცურაო აუზის მეპატრონეები კლიენტთა სიმცირეს არ უჩივიან.**

ფასის მიხედვით საცურაო აუზებს მომხმარებლის სხვადასხვა კატეგორია სტუმრობს. თბილისში არსებული ძვირად ღირებული საცურაო აუზებიდან ერთ-ერთი ვაკის საცურაო აუზია. ვაკის საცურაო აუზის მენეჯერი თათა ჩუთლაშვილი ამბობს, რომ ერთჯერადი საშვისა და აბონემენტის ქონის შემთხვევაში კლიენტები ერთნაირი მომსახურებით სარგებლობენ. ერთჯერადი საშვის ღირებულება 60 ლარს შეადგენს. განსხვავებულია აბონემენტის ფასი. აქციით ერთთვიანი აბონემენტის აღება შეუზღუდავი დროით 350 ლარი ღირს. თუ აუზზე მოსვლას სამუშაო დღეებში მოისურვებთ შეზღუდული დროით, დილის 7 საათიდან საღამოს 6 საათამდე 240 ლარის გადახდა მოგიწევთ. ბავშვის აბონემენტში შედარებით ნაკლები ფასის გადახდა მოგიწევთ – 12 გაკვეთილი სულ რაღაც 190 ლარი დაგიჯდებათ. პაკეტში შედის: აუზი, ტრენაჟორები, ჯაკუზები, საუნები და პირსახოცები.

ერთ-ერთი ძვირად ღირებული საცურაო აუზი Holiday Inn გახლავთ. სამუშაო დღეებში ერთი ვიზიტი 90, ხოლო შაბათ-კვირას 75 ლარი დაგიჯდებათ. თვის განმავლობაში 14 შესვლის საფასური კი 245 ლარია.

„რედისონის“ საცურაო აუზი დღეების მიხედვით საკუთარ მომხმარებელს განსხვავებულ ფასებს სთავაზობს. **„აბონემენტით სარგებლობის შემთხვევაში ჩვენს მომსახურებაში მხოლოდ გარე აუზი შედის. ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით ერთჯერადი ვიზიტი 50 ლარი ღირს, პარასკევს 75, ხოლო შაბათ-კვირას 90 ლარი. თუ აბონემენტით სარგებლობას მოისურვებთ, სამუშაო დღეებში 500, ხოლო შაბათ-კვირას 700 ლარის გადახდა მოგიწევთ“,** – ამბობენ „რედისონში“.

საცურაო აუზში **„ნეპტუნი“** ერთი ვიზიტი 50 ლარს შეადგენს. „ნეპტუნი“ საკუთარ მომხმარებლებს 2-თვიან და 6-თვიან ხელშეკრულებებს და განსხვავებულ პირობებს სთავაზობს. „2-თვიანი ხელშეკრულების შემთხვევაში 20 ვიზიტი 400 ლარს შეადგენს, ულიმიტო პაკეტის ფასი განსხვავებულია, – 2 თვეში 600 ლარის გადახდა მოგიწევთ. 6-თვიანი ხელშეკრულებაც 2 სახისაა: 12 ვიზიტის ფასი 250 ლარია, ხოლო ულიმიტო პაკეტის ფასი თვეში 300 ლარს შეადგენს. ჩვენს მომსახურებაში შედის აუზი, ტრენაჟორები და საუნა“, – გვითხრეს „ნეპტუნში“.

„ჯინო ფერეიდანში“ სამუშაო დღეებში ერთჯერადი ვიზიტის ფასი 39 ლარი, ხოლო შაბათ-კვირას 49 ლარი დაგიჯდებათ. როგორც საცურაო აუზის მენეჯერმა გვითხრა, მათთან არ მოქმედებს აბონემენტი. მათ აქვთ ე.წ. ოჯახური პაკეტი – ორს პლუს ერთი, რომლის ფასი 109 ლარს შეადგენს, ორს პლუს ორი – 119, ხოლო ორს პლუს სამი 129 ლარს შეადგენს. ოჯახური პაკეტის შეძენის შემთხვევაში საშუალება გეძლევათ ისარგებლოთ, როგორც ღია, ისე დახურული აუზით.

„კრწანისი რეზიდენციის“ საცურაო აუზი საკუთარ მომხმარებლებს განსხვავებულ ფასებს სთავაზობს. სამუშაო დღეებში ერთჯერადი ვიზიტი 30 ლარი, ხოლო შაბათ-კვირას 40 ლარი დაგიჯდებათ. აბონემენტით სარგებლობის შემთხვევაში თვეში 14 ვიზიტი 280 ლარი, ხოლო ერთი თვე ულიმიტო აბონემენტით სარგებლობა 450 ლარი დაგიჯდებათ. მათ მომსახურებაში შედის: ორი პირსახოცი, შეზლონგი და სატრენაჟორო დარბაზი. საშუალო ფენისთვის ფასები განსხვავებულია. გართობა და დასვენება ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ერთჯერადი შესვლის საშუალო ფასი 15 ლარიდან 25 ლარამდე მერყეობს.

„ჯიძიას საცურაო აუზზე“ ერთჯერადი ვიზიტის ფასი სამუშაო დღეებში 14 ლარი, ხოლო კვირის ბოლოს 17 ლარს შეადგენს. აუზზე ყოფნა მთელი დღის განმავლობაში ულიმიტოა. ამ ფასს ემატება ჯანმრთელობის ცნობის ფასი 10 ლარის ოდენობით. 12-ვიზიტიანი აბონემენტის შეძენის შემთხვევაში, 135 ლარის გადახდა მოგიწევთ.

შედარებით დაბალი ფასებია **„სი საიდში“** – ერთჯერადი ვიზიტი საღამოს 6 საათამდე 15 ლარი, ხოლო 6 საათის შემდეგ 20 ლარი ღირს. თუ აბონემენტს შეიძენთ, 76 ლარის გადახდა მოგიწევთ. მომსახურებაში შედის აუზი, ტრენაჟორები და საუნები.

გლდანის საცურაო აუზი საკუთარ მომხმარებელს აგრეთვე ხელსყრელ ფასებს სთავაზობს. ერთჯერადი სტუმრობა 20 ლარი დაგიჯდებათ. ამას ემატება სამედიცინო შემოწმების ფასი 5 ლარის ოდენობით. აბონემენტი მხოლოდ აუზზე კვირაში 2-ჯერ 80 ლარს შეადგენს, ფიტნესთან ერთად - 130 ლარი. კვირაში 3-დღიანი ვიზიტი აუზთან, ფიტნესთან და საუნასთან ერთად 150 ლარი ღირს.

თიკო გურაშვილი
AMBEBI.GE

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ვისაც შეუძლია – აკეთებს, ვისაც არ შეუძლია – ასწავლის.

* * *

დილით თუ გადაჰკრავ 300 გრამს, მერე მთელი დღე თავისუფალი ხარ.

* * *

გამცილებელმა ძაღლმა პატრონი დაკარგა და ახლა სახლში ხან ვინ მიყავს, ხან – ვინ.

* * *

უფროსი თათბირს ატარებს:

– ჩვენს განყოფილებაში უკლებლივ ყველა თანამშრომელს პერსპექტივა აქვს. ოღონდ, ზოგიერთის პერსპექტივა აშკარად არასახარბიელოა!

* * *

იცით თუ არა, რომ... საცოლე და ცოლი – ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული რამეებია, არადა ერთი სახელი აქვთ!

* * *

ნაციონალური მუშაობის თავისებურება: რაც უფრო მეტს გააკეთებ დღეს, მით უფრო მეტი გასაკეთებელი საქმე გექნება ხვალ.

* * *

– **რაო, მაშო, სკოლაში როგორ სწავლობდი?**

– **როგორა და მე-9 კლასამდე წარჩინებული მოსწავლე ვიყავი...**

– **მერე რა მოხდა?**

– **რა მოხდა და მკერდი გამეზარდა!..**

* * *

ინტერნეტში ქალიშვილი გავიცანი პარამეტრებით 160/46/18, მაგრამ რომ შევხვდი პირველი წონა ყოფილა, მეორე – ფეხის ზომა, მესამე კი ინტელექტის კოეფიციენტი.

* * *

– **არა** გრცხვენია, ბიჭო, ასეთი გაუნათლებელი რომ ხარ?

– ვითომ რათა ვარ გაუნათლებელი? აბა, მკითხე რაც გინდა!

– რამდენი ასოა ანბანში?

– რამდენი და ექვსი.

– ეგ როგორ?

– აბა, შენ თვითონ დათვალე: ა-ნ-ბ-ა-ნ-ი. რამდენი გამოვიდა? ექვსი!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე